

ფანჯარა ევროპაში ჩრდილოკავკასიისთვის

თვის ბოლომდე პარლამენტი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის სახელმწიფო კონცეფციას დაამტკიცებს

დათო გახისონია

გუშინ, პარლამენტის სამი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის საქართველოს სახელმწიფო კონცეფციის პროექტს დაუჭირეს მხარი.

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ნუგზარ ნიკლაურის ორშაბათს, ბიუროს სხდომაზე დოკუმენტის წარდგენას აპირებს. მისი თქმით, თვის

ბოლომდე პროექტს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განიხილავენ. დოკუმენტს თავდაპირველად სტრატეგიის სახე ჰქონდა, რომლის მიღების უფლებამოსილება აღმასრულებელ ხელისუფლებას აქვს. ამჯერად კი მას კონცეფციის სახელით პარლამენტი დაამტკიცებს.

ნუგზარ ნიკლაურის თქმით, სტაბილური, უსაფრთხო, მშვიდობიანი და განვითარებული კავკასიის რეგიონი ქართული სახელმწიფოს

გენერალური იდეაა. “კონცეფციაში სწორედ ეს გენერალური იდეაა წარმოჩენილი. დოკუმენტის მიმართულებები: ადამიანის უფლებები, რეგიონული უსაფრთხოება, განათლება, კულტურა, ჯანდაცვა, ხალხთა შორის კავშირები,” - აღნიშნა ნიკლაურმა.

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილის თქმით, ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან ურთიერთობის სახელმ-

წიფო კონცეფცია მოკლე სა-ვიზიტო განაცხადია, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას ეხმარება. დარჩიაშვილი მიიჩნევს, რომ კონცეფციას უნდა დაემატოს ახალი ქვეთავი - “პოლიტიკა, სამართალი, უსაფრთხოება”. როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წევრი აღნიშნავს, ჩრდილოეთ კავკასია ის რეგიონია, რომელიც სამართლებრივად რუსეთის შემადგენლობაში შედის.

გაგრძელება
მ-3 გვერდზე

ივანიშვილი გაეროში ჩივის

კოალიცია ქართულის ოცნების წარმომადგენლებმა თინათინ ხიდაშელმა, არჩილ კბილაშვილმა და ამერიკელმა ადვოკატმა მეთიუ ორსმანმა საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიაში საჩივარი შეიტანეს. საჩივარი ეხება ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევისა და მისთვის ნატურალიზაციის გზით მოქალაქეობის მინიჭებაზე უარის თქმას.

მოქალაქეობის თვითნებური ჩამორთმევა ცალსახად არღვევს არა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, არამედ საერთაშორისო სამართლის ნორმებს, - ნათქვამია «ქართული ოცნების» პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. საჩივარში დეტალურად არის საუბარი იმის შესახებ, რომ ქვეყანაში მიღებული სა-

კონსტიტუციო ცვლილება, ვერ უზრუნველყოფს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური უფლებების აღდგენას და თავისი არსით, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, საერთაშორისო მეთვალყურეებისთვის თვალის ახვევის მიზნით განხორციელებული ფარისევლური ქმედებაა.

გაგრძელება
მ-3 გვერდზე

რუსული ინტერესი სირიაში

ხათუნა გახივი

სირიის კონფლიქტის რეგულირებაზე დასავლური გეგმისა და არაერთი რეზოლუციის დანუხების შემდეგ

რუსეთის სამოქმედო გეგმა საერთაშორისო თანამეგობრობაში გაურკვევლობას და შეშფოთებას იწვევს. მზადყოფნაზე გადაყვანილი რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ხომალდები, პარალელურად

კი მოსკოვი სირიაში მყოფ თავის მოქალაქეებსა და სამხედრო პერსონალს ევაკუაციისთვის ამზადებს.

გაგრძელება
მ-4 გვერდზე



ბარდაცვალა რამაზ შენგელია

განსაზღვრება - “უდიდესი დანაკლისი” - ბოლომდე მაინც ვერ ასახავს იმ დანაკარგს, რაც ქართულმა ფეხბურთმა და სპორტმა განიცადა. 55 წლის ასაკში ცხოვრებიდან წავიდა ქართული ფეხბურთის ნამდვილი ლეგენდა, ჩვენი ყველაზე დიდი საფეხ-

ბურთო წარმატების მთავარი თანამონაწილე და თანაშემოქმედი, რამაზ შენგელია. სწორედ შენგელიას გოლებით გაიკვალა “დინამომ” გზა ევროპის თასების მფლობელთა თასის ფინალისკენ.

გაგრძელება
მ-8 გვერდზე



1 აშშ დოლარი	1.6363*
1 ევრო	2.0645*
1 ინგლისური გირვანკა	2.5440*
1 თურქული ლირა	0.9010*
100 რუსული რუბლი	5.0512*
თბილისი	32°C - 18°C
ქუთაისი	29°C - 18°C
თელავი	32°C - 16°C
ზუგდიდი	27°C - 17°C
ბათუმი	26°C - 17°C
ნავთობი	2.61 -0.03 -1.23%
გაზი	2.61 +0.14 +5.48%
ოქრო	1,629.50 +1.40 +0.09%
ხორბალი	630.25 +20.75 +3.29%

“24 საათი” ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:



ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს



ISSN 1987 9121



9 771987 19121001 >

სადღაც სიმაღლეა, სადღაც თუხათში...

ფოტოდღიურებით დანყებული ფრანგული კულტურის დღეები

სოფო კილასონია

გუშინ ფრანგული კულტურის დღეები დაიწყო. დაიწყო ერთი ძალიან მოკრძა-

ლებული გამოფენით. უფრო ზუსტი იქნება, თუ მას ფოტოსერის პრეზენტაციას დავარქმევ. ეს სერია კი ერთი გრძელი გზაა - ფოტოგრაფ პიერ ჟანმუჟენის გზა

თუშეთის საძოვრებისკენ, თუშ მეცხვარეებთან ერთად.

გაგრძელება
მ-6 გვერდზე



ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი



4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!

ექსკლუზიურად „24 საათის“ და „Weekend“-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნებზე „საქართველოს ფოსტის“ პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.

- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

ყვავი ცალინინდა ოინგაზოგს	5.90	4.90
ჰარი პოტარი და საიდუმლო ოთახი	9.00	4.00
ფალიაშვილის ქუჩის კაღლაპი	6.90	3.00
ქართულიაპი აპერიკაპი	17.90	11.90
კავკასიის გაოპოლიტიკური ატლასი	15.90	11.00

საქართველოში ვიზიტით იმყოფება დონალდ რამსფელდი

საქართველოში ვიზიტით ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის ყოფილი მდივანი დონალდ რამსფელდი იმყოფება. ამერიკელი პოლიტიკოსი და ბიზნესმენი გუშინ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ბაჩო ახალაიამ მიიღო.

თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდს საქართველოს თავდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმები გააცნო, საუბარი შეეხო ISAF-ის მისიაში საქართველოს მონაწილეობასა და ნატო-ში ინტეგრაციის პერსპექტივებს. ბაჩო ახალაიამ ამერიკის თავდაცვის ყოფილ მდივანს საქართველოსა და ამერიკას შორის თავდაცვის სფეროში ურთიერთობის გაღრმავებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა.

დონალდ რამსფელდს ამერიკის თავდაცვის მდივნის თანამდებობა ორჯერ ეკავა. იგი პენტაგონს პირველად ჯერალდ ფორდის პრეზიდენტობისას - 1975-1977 წლებში ხელმძღვანელობდა. მეორედ კი მან თავდაცვის მდივნის პოსტი პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის დროს - 2001 წელს ჩაიბარა. 2007 წელს პენტაგონის ყოფილმა შეფმა "რამსფელდის ფონდი" დააარსა, რომელიც სწავლებას უფინანსებს კერძო სექტორიდან სახელმწიფო სექტორში გადასვლის მსურველ პირებს. მისი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რამოდენიმე თანამშრომელიც გახდა.

ვიზიტის ფარგლებში დონალდ რამსფელდი საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივან გიგა ბოკერიასაც შეხვდა. დღეს კი იგი ეროვნულ სასწავლო ცენტრ "კრწანისს" ესტუმრება.

რამსფელდის ვიზიტი საქართველოში ერთ კვირას გაგრძელდება.

ქართველი მინისტრები გაერო-ს კონფერენციაში მონაწილეობენ

მსოფლიოს 100-ზე მეტი სახელმწიფოს მეთაურები და მთავრობის ხელმძღვანელები ბრაზილიის ქალაქ რიო-დე-ჟანეიროში შეიკრიბნენ, სადაც მუშაობა დაიწყო გაერო-ს მდგრადი განვითარების კონფერენციამ. ქართული მხრიდან რიოს უმაღლესი დონის შეხვედრაში საქართველოს ეკონომიკისა და გარემოს დაცვის მინისტრები მონაწილეობენ. "მწვანე სამიტის" მონაწილეებს სიტყვით მიმართა ვერა ქობალიამ. გარემოს დამცველები უმცაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ეკონომიკურმა საკითხებმა ბევრი ქვეყნისთვის ბუნების დაცვა უკანა პლანზე გადაწია. რიოს კონფერენციისთვის ექსპერტებს უკვე მომზადებული აქვთ დოკუმენტის პროექტი, რომელსაც სამიტზე მიიღებენ. პროექტში შესულია 200-ზე მეტი ვალდებულება მსოფლიოს სახელმწიფოებისთვის, რამაც პლანეტის სიჯანსაღეს უნდა შეუწყოს ხელი.

ქართული დელეგაცია, სამიტის პარალელურად, ორმხრივ შეხვედრებს მართავს. ვერა ქობალია შვეიცარიის, ერაყის, ზამბიისა და მავრიტანიის დელეგაციებს შეხვდა.

თბილისის ორ სასწავლო ობიექტზე შელიოსისტემები დამონტაჟდა

თბილისის N203 საჯარო სკოლასა და თბილისის "SOS ბავშვთა სოფელში" წყლის გამაცხელებელი შელიოსისტემები დამონტაჟდა. სამუშაოები "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" ნავთობსადენის პროექტის - "განახლებადი ენერგიისა და ენერგოეფექტური პროექტების განხორციელება" - ფარგლებში BP-სა და მისი პარტნიორების ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით კავშირმა "ენერგოეფექტურობის ცენტრმა" ჩაატარა.

N203 საჯარო სკოლაში დამონტაჟებული მზის წყლის გამაცხელებელი სისტემის ამოქმედების შემდეგ შესაძლებელი იქნება ყოველდღიურად 7584 კვსთ ელექტროენერგიის ეკონომია და ატმოსფეროში, მინიმუმ, 3000 კგ CO2-ის ნარჩენების შემცირება. სკოლა ყრუ და სმენადაქვეითებული ბავშვებისთვისაა განკუთვნილი. ამ სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 200-მდე მოსწავლე სწავლობს, მათგან 120 - პანსიონური მომსახურებით სარგებლობს.

თბილისის "SOS ბავშვთა სოფელში" დამონტაჟებული წყლის გამაცხელებელი სისტემის ამოქმედების შემდეგ შესაძლებელი იქნება ყოველწლიურად 50 000 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის ეკონომია და ატმოსფეროში, მინიმუმ, 95 000 კგ CO2-ის (ნახშირორჟანგის) ემისიების შემცირება.

„გლობალ ტვ„-ის ანტენები დაყადაღებულია

გუშინ მთავარმა პროკურატურამ სპეციალური განცხადება გაავრცელა, რომლის თანახმადაც, პროკურატურა სასამართლოსგან "გლობალ კონტაქტ კონსალტინგის" მფლობელობაში არსებული, დაუმონტაჟებული სატელევიზიო ანტენების დროებით დაყადაღებას მოითხოვს.

განცხადებაში ნათქვამია, რომ ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტთან დაკავშირებით, კონტროლის პალატის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გამოძიება დაიწყო. როგორც პროკურატურაში განმარტეს, "გლობალ კონტაქტ კონსალტინგისადმი" საქართველოს კონტროლის პალატის მიმართვის მიუხედავად, ცალკეულ პირთა მხრიდან კვლავ გრძელდება ამომრჩევლებისთვის პოლიტიკური სუბიექტის მხარდაჭერის პირობით, სატელევიზიო ანტენების გადაცემა და შესაძლოა, აღნიშნული ქმედება შეიცავდეს დანაშაულის ნიშნებს.

"მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოვიყენოთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილება და გამოძიების დასრულებამდე სასამართლოს მივმართოთ შუამდგომლობით შპს "გლობალ

კონტაქტ კონსალტინგის" მფლობელობაში არსებული, დაუმონტაჟებული სატელევიზიო ანტენების დროებით დაყადაღების შესახებ. აღნიშნული ქმედება მიზნად ისახავს შესაძლო დანაშაულის თავიდან აცილებას, ასევე წინაასარჩევნო პროცესების დაცვას შესაძლო დანაშაულებრივი ჩარევისაგან, პოლიტიკური პარტიებისა და მოქალაქეების საარჩევნო უფლებების დამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფას," - ამ არგუმენტით ახსნეს პროკურატურაში სასამართლოსთვის მიმართვის მიზეზები.

პროკურატურის მიერ ამ განცხადების გავრცელებიდან ერთ საათში ცნობილი გახდა, რომ კომპანია "ელიტა ბურჯის" შენობასა და მის გარეთ პოლიციის თანამშრომლები მივიდნენ. იქიდან გაომდინარე, რომ შენობაში არ უშვებენ კომპანიის იმ თანამშრომლებს, რომლებიც გარეთ იმყოფებოდნენ და არც შენობიდან გამოსვლის უფლებას აძლევენ შიგნით მყოფებს, კარგა ხნის განმავლობაში, არ არსებობდა ინფორმაცია, რა მიზანს ემსახურებოდა სამართალდამცველების შესვლა "ელიტა ბურჯის" შენობაში.

"მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედება," - ასეთი იყო ხან-

გრძლივი დროის განმავლობაში იქ მყოფი სამართალდამცველების პასუხი.

სამართალდამცველები, ქობულეთის შესასვლელში მდებარე გასართობ პარკ "ციცინათელას" ადმინისტრაციაში და "გლობალ ტვი"-ის სამტრედიის, თელავისა და ყვარლის ოფისებშიც შევიდნენ.

მოგვიანებით, მთავარმა პროკურატურამ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ, თითქმის ერთდროულად გაავრცელეს ოფიციალური განცხადებები, სადაც სამართალდამცველების მოქმედება იყო ახსნილი. პროკურატურის განმარტებით, "ელიტა ბურჯის" საწყობებში შესულმა პოლიციამ სასამართლოს გადაწყვეტილება აღასრულა - "გლობალ კონტაქტ კონსალტინგის" მფლობელობაში არსებული სატელევიზიო ანტენები დააყადალა.

"გლობალ კონტაქტ კონსალტინგის" მფლობელობაში არსებული სატელევიზიო ნაწილი სწორედ "ელიტა ბურჯის" საწყობებშია განთავსებული. პოლიციელთა მოქმედება დაკავშირებულია ყადაღის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისას საქართველოს ადრნმინდლობით გათვალისწინებულ საპროცესო ღონისძიე-

ივანიშვილი გააჩივრა ჩივის

პირველი პერიოდი

ცვლილებები ემსახურება მხოლოდ ერთი ადამიანის, მიხეილ სააკაშვილის ინტერესებს და მისი დანაშაულებრივი ქმედების (მოქალაქეობის თვითნებური და უკანონო ჩამორთმევა) დაფარვას. საქართველოს ხელისუფლების დანაშაულებრივ გადაწყვე-

ტილებას საფუძვლად უდევს პოლიტიკური მოტივაცია, რათა ბიძინა ივანიშვილი და კოალიცია ქართული ოცნება ჩამოშორდეს მომავალ არჩევნებს, - ნათქვამია «ქართული ოცნების» მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ბიძინა ივანიშვილსა და მის მეუღლეს ეკატერინა ხვედელიძეს, როგორც სხვა ქვეყნის მოქალაქე-

ებს, საქართველოს მოქალაქეობა პრეზიდენტის 2011 წლის 11 ოქტომბერის განკარგულებით შეუნყადათ. თუმცა, მოგვიანებით თბილისის საქალაქო სასამართლომ მხოლოდ ხვედელიძეს დაუბრუნა მოქალაქეობა, ივანიშვილს კი, როგორც საფრანგეთის მოქალაქეს, საქართველოს მოქალაქეობაზე უარი ეთქვა. ამის შემდეგ, ბიძინა ივანიშვილ-

ბასთან, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში "ელიტა ბურჯის" სამენარმეო საქმიანობის ან სხვაგვარი აქტივობის რევიზიას არ უკავშირდება", - განმარტეს პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში.

რამდენიმე დღის წინ, კონტროლის პალატის მიერ შედგენილი ოქმის საფუძველზე, "ქართული ოცნების" ლიდერი ბიძინა ივანიშვილი "გლობალ კონტაქტ კონსალტინგის" საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენების მოტივით, 126 მილიონზე მეტი ლარით დააჯარიმა, ზემდგომმა ინსტანციამ ჯარიმა 63 110 095 ლარამდე შეამცირა.

დაყადაღების ოპერაცია "ქართულ ოცნებაში" გუშინვე უკანონოდ და უსამართლოდ შეფასდა. კომპანიის ინტერესების დამცველის განმარტებით, სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდება.

"ნებისმიერ ქვეყანაში სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებლობა მის ჩამოშლას და არარსებობას ნიშნავს. თუ ვინმეს ეს გადაწყვეტილება არ მოსწონს, შეუძლია გაასაჩივროს," - ასეთი კომენტარი კააკეთეს მომხდარზე საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებმა.

საკუთარი ინფორმაცია

ევროკავშირის ექსპერტების რევიზია

მცირე ფარმარებს

სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში 1.5 მილიონი ლარია

სოფო აიხლადი

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი 813,2924 ჰექტარს შეადგენს, თუმცა მისი უდიდესი ნაწილი აუთვისებელია. ქვეყანას აქვს პოტენციალი, სოფლის მეურნეობის დარგი განავითაროს და პროდუქციით არა მარტო ადგილობრივი ბაზარი, არამედ სხვა ქვეყნებიც მოამარაგოს, თუმცა შესაძლებლობას ვერ ვიყენებთ. საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის პრობლემატიკაზე გუშინ სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" მსჯელობდნენ. ერთდღიანი კონფერენცია "სოფლად განვითარების პერსპექტივები მცირე ფერმერებისთვის" რამდენიმე ორგანიზაციის ეგიდით გაიმართა.

შეხვედრის ორგანიზატორი იყო საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატა, ქეა საერთაშორისო კავკასიაში, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო USAID-ი.

ღონისძიებას საქართველოს ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო მისიების, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო სექ-

ტორის და ფერმერთა გაერთიანებების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. "კონფერენცია საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ, როგორ შეიძლება მცირე ფერმერების ჩართვა სოფლად მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებში. გარდა ამისა, კონფერენცია არ განიხილება როგორც ცალკე მდგომი ღონისძიება. ის წინა პერიოდში გამართულ შეხვედრებს ეხმიანება და მდგრადი განვითარების მისაღწევად უფრო შეთანხმებული მუშაობის დაწყების წინაპირობას ქმნის," - აღნიშნა ტომას რეინოლდსმა, «ქეა საერთაშორისო კავკასიის» მისიის დირექტორმა.

კონფერენციის მონაწილეების შეფასებით რეგიონის ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების დონე ყველაზე დაბალია. ქვეყანას აქვს პოტენციალი, ერთ-ერთი საუკეთესო იყოს. საქართველოში არის დიდი მოცულობის სასოფლო-სამეურნეო მიწები, ხელსაყრელი მიკროკლიმატი სხვადასხვა რეგიონში, წყალი, წყლის საფუძველზე ელექტროენერგიის წარმოების საშუალება და ა.შ. ექსპერტები აცხადებენ, რომ ამ ყველაფრისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში არსებული ძველი გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში წარმოებისა და პროდუქტიულობის მაჩვენებელი ბევრად უფრო მაღალი უნდა იყოს. "საქართველოს მოსახლეობის სახეობაზე მეტი სოფლის მეურნეობიდან მი-

ღებულ შემოსავლებზეა დამოკიდებული. სოფლის განვითარებისთვის ევროკავშირი მზადაა, პარტნიორებს გამოცდილება და ცოდნა გაუზიაროს. კონფერენციაში აქტიური მონაწილეობით ევროკავშირი ხაზს უსვამს სოფლის მეურნეობისა და, ზოგადად, სოფლის განვითარების მნიშვნელობას საქართველოსთან ურთიერთობაში. ვფიქრობ, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი ნაწილი მცირე ფერმერების პოტენციალის სათანადოდ შეფასებაა," - განაცხადა რამონ რეიგადამ, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის პროექტების განყოფილების უფროსმა.

დღეისათვის სოფლის მეურნეობის სექტორში დაბანდებული უცხოური ინვესტიციების მოცულობა განხორციელებული ინვესტიციების მხოლოდ ერთ პროცენტს შეადგენს.

ექსპერტთა შეფასებით, საქართველოში მცირე ფერმერული მეურნეობების განვითარება ქვეყანაში სოფლის მეურნეობის სექტორის ფეხზე დასაყენებლად ერთი მნიშვნელოვანი საკითხია: მცირე ფერმერებს გააჩნიათ დიდი პოტენციალი, ხელი შეუწყონ საქართველოს ეკონომიკურ წინსვლას და განვითარებას. შვეიცარიის მიერ დაფინანსებული პროექტები ხორციელდება სასაქონლო ჯაჭვის ხელშეწყობის და "ბაზარი-ღარიბებისთვის" პრინციპებზე დაყრდნობით, რომელიც ზუსტად ასახავს საქართველოს

სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაზრდის პოტენციალს და ხელს შეუწყობს სიღარიბის მნიშვნელოვან შემცირებას სოფლად," - აღნიშნა რუდოლფ შოხმა, ამიერკავკასიაში შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის ოფისის დირექტორმა.

დღეისათვის ქართული სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში 1.5 მლნ ლარია (8 პროცენტი), მშპ კი ერთ სულ მოსახლეზე, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2,621 აშშ დოლარს შეადგენს. საქართველოში სოფლად მცხოვრები მოსახლეობა 2 097 900 (47 პროცენტია), სასოფლო-სამეურნეო სფეროებში დასაქმებულთა რაოდენობა კი - 671 980 ათასი კაცი. აღსანიშნავია, რომ სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავალი ქალაქად დასაქმებულთა ანაზღაურების მხოლოდ 20 პროცენტს შეადგენს.

იმისათვის, რომ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის სექტორი განვითარდეს, როგორც ექსპერტები აცხადებენ, მთავრობამ სპეციალური პროგრამები უნდა შექმნას, ფერმერებისთვის შესაძლებელი გახადოს სურვილის შემთხვევაში პროფესიული განათლების მიღება, ასევე, მათ ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ფინანსურ რესურსებზე (ანუ არსებობდეს რაციონალური საპროცენტო განაკვეთი), ქვეყანაში უნდა დაინერგოს თანამედროვე ტექნოლოგიები და არსებობდეს შესაბამისი ტექნიკა.

ფანჯარა ევროპაში ჩრდილოკავკასიისთვის

პირველი გვარდიანს

“საქართველო მხარს უჭერს ნებისმიერი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას,” - ამბობს დავით დარჩიაშვილი. თუმცა, დეპუტატი დასძენს, რომ სასაზღვრო სა-კითხებში თანამედროვე ევროპული მიდგომა არ გამოირიცხავს მოსაზღ-ვრე რეგიონებში მცხოვრებ თემებს შორის თანამშრომლობას - მათ შო-რის, უსაფრთხოების საკითხებში.

ნიკლაური ამბობს, რომ დოკუ-მენტში დავით დარჩიაშვილის წინა-დადებას გაითვალისწინებენ. გარ-და ამისა, კონცეფციას დაემატება ევროპასთან ინტეგრაციის კომი-ტეტის კიდევ ერთი ინიციატივა, რომლის თანახმად, მასში რისკების შესახებ ახალი ქვეთავი შევა. დო-კუმენტში ნათქვამი იქნება ტერო-რიზმისგან მომდინარე საფრთხეე-ბის შესახებ, რომლებიც ჩრდილო-ეთ კავკასიელ და ქათველ ხალხებს ემუქრებათ.

საგარეო ურთიერთობათა კო-მიტეტის თავმჯდომარის მოადგი-ლე გიორგი კანდელაკის განცხადე-ბით, ეს არა მხოლოდ კარგად დაწე-რილი დოკუმენტია, არამედ პასუხს სცემს ყველა იმ სკეპტიკოსს, რომე-

ლიც ფიქრობდა, რომ საქართველო ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხებთან ურთიერთობაში ცეცხლს ეთამაშე-ბოდა. კანდელაკის აზრით, ეს ხალ-ხები საქართველო უყურებენ, რო-გორც ფანჯარას ევროპაში.

ნუგზარ ნიკლაურის თქმით კი, საქართველო კარგად ხედავს ევ-როპული სახელმწიფოების ძალისხ-მევას ჩრდილოეთ კავკასიაში ადა-მიანის უფლებათა დაცვის მიმარ-თულებით.

კონცეფციის პროექტის შესა-ხებ “24 საათი” პოლიტოლოგ გია ნოდიას ესაუბრა. მისი თქმით, კონ-ცეფციის მიღებას წინ უსწრებდა სახელმწიფოს მიერ გადადგული საკმაოდ სერიოზული ნაბიჯები. კონცეფცია ემსახურება, ერთი მხრივ, საერთაშორისო საზოგადო-ებისთვის იმის ახსნას, თუ რა პო-ლიტიკური ხედვაა უკვე გადადგმუ-ლი ნაბიჯების უკან და, მეორე მხრივ - იმის ჩვენებას, რომ ეს ერთ-ჯერადი ნაბიჯები არ ყოფილა და ამ მიმართულებით პოლიტიკური მოქ-მედება გაგრძელდება. თუმცა, გია ნოდიას თქმით, საქართველომ გან-საკუთრებით მნიშვნელოვანი ნაბი-ჯები უკვე გადადგა - ჩერქეზთა გე-ნოციდის აღიარებაზე უფრო ხმამა-

ღალ გადაწყვეტილებას საქართვე-ლო ალბათ ვერ მიიღებს. “ძნელია, უფრო მასშტაბური ნაბიჯი მოი-ფიქრო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით საქმიან-ობა არ გაგრძელდება. მუშაობის სხვადასხვა ფორმები არსებობს - კულტურული, სამეცნიერო, ჰუ-მანიტარული და სხვადასხვა კონ-ტაქტები. საბოლოო ჯამში, სა-ქართველოს საქმიანობა ჩრდი-ლოეთ კავკასიის მიმართულებით ე.წ. რბილი ძალის გამოყენების მაგალითებია,” - აღნიშნა “24 სა-ათთან” საუბრისას გია ნოდიამ.

ნოდია ვარაუდობს, რომ კონ-ცეფციის მომზადების ერთ-ერთი მოტივია ევროპისა და ამერიკისთ-ვის, ასევე ქართული საზოგადოე-ბისთვის, საქართველოს პოლიტი-კის კარგად ახსნა. “უფრო მეტი კრიტიკა ევროპიდან მოდიოდა. საქართველოს პოლიტიკური ნა-ბიჯები რუსეთის გამაღიზიანე-ბელ ქმედებად აღიქმებოდა. კონ-ცეფციის მიღება იმის მცდელო-ბაა, რომ საქართველომ დასავლე-ლი მეგობრები გადაარწმუნოს და უთხრას - საქართველო რუსეთს კი არ ეთამაშება, არამედ ჩრდი-ლოკავკასიელ ხალხებთან

გრძელვადიანი ურთიერთობა მართლაც სურს,” - ამბობს გია ნო-დია.

პოლიტოლოგი იმ დატვირთვის შესახებაც საუბრობს, რომელიც ჩრდილოკავკასიელი ხალხებისთ-ვის საქართველოს გააჩნია. “ჩრდი-ლოკავკასიელებთან ურთიერთო-ბა მაქვს და ისინი, ჩემი დაკვირვე-ბით, საქართველოს აღიქვამენ, როგორც ფანჯარას ევროპაში. საქართველოს მხარის ტვირთი ის არის, რომ რაც შეიძლება უფრო ევროპული გახდეს. ამას, ჩრდი-ლოეთ კავკასიელებისთვის თავის მოწონების მიზნით კი არ ვაკე-თებთ, არამედ ჩვენ გვინდა ასე-ამასთანავე, გვსურს, ჩრდილოეთ კავკასიელები შემოვუშვათ, გვნა-ხონ, ნავახალისოთ, მეტი პროგ-რამები შევქმნათ იმისთვის, რომ საქართველოში ხშირად მოვიდ-ნენ და კონტაქტები დაამყარონ. ეს დამატებითი ტვირთი არ არის. ისედაც გვინდა, რომ ევროპული ქვეყანა გახვდეთ. თუ ჩრდილოეთ კავკასიელებსაც შემოვუშვებთ, თავისთავად ფანჯარა ვიქნებით,” - აღნიშნავს გია ნოდია.

30 000 ხელმოწერა “მასთ ქერის” პრინციპისთვის

დათო გაიხონია

გუშინ პარლამენტის საპროცე-დურო საკითხთა და წესების კომი-ტეტმა კამპანიას “ეს შენ გეხება”, “მა-უნყებლობის შესახებ” კანონში ცვლილებების პროექტის ინიცირე-ბის მიზნით, 30 000 ხელმოწერის შეგ-როვების უფლება მისცა.

“ეს შენ გეხებას” წინადადება “მასთ ქერი” (საკაბელო კომპანიებმა ყველა ქართული ტელეარხის მა-

უნყებლობა უნდა უზრუნველყონ) და “მასთ ოფერი” (მაუნყებლებმა ყველა საკაბელო კომპანიის მომსახურებით უნდა ისარგებლონ) პრინციპის სა-ქართველოსთან ადაპტირებული ვა-რიანტის შემოღებას ითვალისწინებს.

“ეს შენ გეხებას” მონაწილე ირაკ-ლი მელაშვილი დარწმუნებულია, რომ 30 000 ხელმოწერას სწრაფად შეაგროვებენ და ივლისის დასაწყისში პარლამენტს წარუდგენენ. “იმედი მაქვს, ამ საკითხის შესახებ მოლა-პარაკება შედგება. ჩემი ინფორმა-

ციით, ხელისუფლების პოზიციაში რღღაც შეიცვლება, - ამბობს ირაკლი მელაშვილი, - სულ არ მაინტერე-სებს, ამას მაინცდამაინც “მასთ ქე-რი” და “მასთ ოფერი” ერქმევა თუ არა. რა ფორმულირებითაც სურთ, იმ ფორმულირებით მიიღონ. “მასთ ქერის” პრინციპი ამ პრობლემების გადასაჭრელად უნივერსალურია. მთავარია, რეგიონებში ყველა არ-ხის ნახვა შესაძლებელი გახდეს.”

საპარლამენტო უმრავლესობის-თვის “მასთ ქერის” პრინციპი მოულე-

ბელია. ამ პრინციპს საგარეო ურთი-ერთობათა კომიტეტის თავმჯდომა-რე აკაკი მინაშვილი კერძო ბიზნესში ჩარევად მიიჩნევს.

ირაკლი მელაშვილი აკაკი მინაშ-ვილის განცხადებას ეხმიანება. “კერ-ძო ბიზნესის დაცვაში ამერიკელებ-მა, როგორც ჩანს, აკაკი მინაშვი-ლის “სიმაღლეს” ვერ მიაღწიეს. ჩე-მი ღრმა პატივისცემის მიუხედა-ვად, ასე ლაპარაკი არ შეიძლება. ეს არგუმენტი არ არის,” - აღნიშნავს მელაშვილი.

306 რამდენი შესწირა პარტიებს

გამდა ლაქიპვილი

პოლიტიკური პარტიების დიდმა ნაწილმა საკუთარი პარტიის შემო-სავლები კონტროლის პალატის მოთხოვნით უკვე წარადგინა. სა-ხელმწიფო უწყების ვებგვერდზე (control.ge) გამოქვეყნდა ინფორმა-ცია პოლიტიკური გაერთიანებების მიერ 2012 წლის 1-ლი იანვრიდან 19 ივნისამდე პერიოდში მიღებული შე-მოწირულებების შესახებ. მმართველმა პარტიამ 2012 წელს 1,768,492 ლარის შემოწირულობა მიიღო. პარ-ტიას შემოწირულობებს შორის ყვე-ლაზე დიდი თანხა 60 ათასი ლარი რამდენიმე ადამიანისგან აქვს მიღე-ბული, რომელთა შორისაა ამირან ქორთიაშვილი, ჯამბუულაჭ ჯაყელი, მიხეილ ესიაშვილი, იაგო ჩოჩელი და ა.შ. აღსანიაშნავია, რომ ეს უკანასკ-ნელი მცხეთა-მთიანეთის გუბერნა-

ტორ ცეზარ ჩოჩელის ძმაა, რომე-ლიც თავის მხრივ ლუდის მწარმოე-ბელი კომპანია «ლომისისა» და “ნა-ტახტარის” დამაარსებელია. ყველა-ზე მცირე თანხის ოდენობის შემო-წირულობა 2 ათასი ლარი “ნაციონა-ლურ მოძრაობას” ლევან ბახუაშ-ვილმა გადაურიცხა.

ფიზიკურმა პირებმა თანხები ბიძინა ივანიშვილის პარტიას “ქარ-თული ოცნება-დემოკრატიულ სა-ქართველოსაც” ჩაურიცხეს - მთლი-ანობაში 43 923,50 ლარი. პარტი-ას ნოდარ ხადურმა 31 მაისს 11 361 ათასი ლარი გადაურიცხა. იმავე დღეს “ქართულმა ოცნებამ” პარტი-ის თავმჯდომარე მანანა კობახიძის-გან 10 562,50 ლარი მიიღო, თემურ კობახიძისგან კი - 2 000 ლარი. 11 ივ-ნისს ბიძინა ივანიშვილის პარტიას ზურაბ აზმაიფარაშვილმა 20 000 ლარი შესწირა. ივანიშვილის პარტი-ის ანგარიშზე ყველაზე მცირე შენა-

ტანი - 6,46 ლარი სალომე ქარდავამ განახორციელა.

“ქრისტიან-დემოკრატიული” მოძრაობის ბალანსზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 50 ათასი ლარი დაირიცხა. პარტიის წევრმა ლევან ვეფხვაძემ 20 ათასი ლარი გა-ერთიანებაში 9 მარტს ჩარიცხა. 10 000-ლარიანი შენატანი გააკეთა გიორგი ახვლედიანმა.

მმართველი პარტიის შემდეგ ყველაზე მეტი თანხა საზოგადოებ-რივ მოძრაობა “ქართულ ოცნებას” შესწირეს. თუმცა კონტროლის პა-ლატამ ამ შემოსავლების შესწავლე-სას დადგვევები აღმოაჩინა და “ოც-ნებას” მოუხდა, მიღებული თანხა შემოწირველისთვის დაებრუნეში-და. “ქართულმა ოცნებამ” 10 ათასი ლარი დაუთმოა ბესიკ მუმლაურს, ასევე 10 ათასი - მარიამ მეტრე-ველს, ხოლოდ 20 ათასი - ნუგზარ ხუციშვილს. გაერთიანებისთვის ფი-

ზიკური პირებისგან შეწირული ყვე-ლაზე მცირე თანხა ერთი ლარი იყო, ყველაზე მეტი კი - კარლო კალაძის-გან და ნოე ქინქლაძისგან 60-60 ათასი.

“რესპუბლიკური პარტიის” შე-მოწირულობების ოდენობაა 147 456, 60 ლარი. საერთო ანგარიშზე პარ-ტიის წევრებმა თინათინ ხიდაშელმა - 10 ათასი და ივლიანე ხაინდრავამ 500 ლარი შეიტანეს. შემოწირულო-ბა განახორციელა პარტიის თავმჯ-დომარემ დავით უსუფაშვილმაც - 16 ათასი ლარი.

საკუთარი პარტიისთვის 30 ათა-სი ლარი აქვს გადაირიცხული “ახალი მემარჯვენეების” ლიდერ დავით გამყრელიძეს. მთლიანობაში გაერ-ტიანებად 116 451,50 ლარი მიიღო.

“თავისუფალი დემოკრატების” ანგარიშზე 208 ათას 179 ლარია შე-სული.

მიხეილ სააკაშვილმა ოსიაურში გაზსადენი გახსნა

საქართველოს პრეზიდენტმა ხაშურის სოფელ ოსია-ურში ახლად აშენებული გაზსადენი გახსნა. კომპანია “სო-კარმა” სამუშაოები საპრეზიდენტო პროგრამის “გაზი ყვე-ლა სოფელს” ფარგლებში შეასრულა.

მიხეილ სააკაშვილი მოსახლეობასაც შეხვდა და მათ სხვადასხვა სოციალურ პროგრამებზე ესაუბრა. პრეზი-დენტმა ხაშურელებს ახალი ინიციატივა გააცნო, რომლის მიხედვითაც, მოსახლეობას ბუნებრივი აირის სახლებში შეყვანა განეადებით შეეძლება.

“ბალონი ჯდება, სადღაც, 28 ლარი თვეში. რაც თვეში ბალონის გაზი გიჯდებათ, ყოველთვიურად გადაიხადეთ ზუსტად ის ფასი განვადებაში, რომელშიც შედის ყველა-ფერი, და გაზი გექნებათ. ოსიაურშიც და ყველა დანარჩენ ადგილას, სადაც გაზის მილი მიყვანილია, ყველას ექნება ბუნებრივი აირი გაზის ბალონის ფასად,” - აღნიშნა მიხე-ილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის განცხადებით, ოსიაური ერთ-ერთი ყვე-ლაზე პრობლემურ სოფლად რჩება. სააკაშვილის თქმით, მოსახლეობის 70 პროცენტს აქ წყალი ჯერ კიდევ გრაფი-კით მიეწოდება.

მიხეილ სააკაშვილი მოსახლეობას ახალი საპენსიო პა-კეტის შესახებაც ესაუბრა, რომელიც სექტემბერში ამოქ-მედდება. სააკაშვილის თქმით, მომავალი წლიდან მინიმალური პენსია 100 დოლარამდე გაიზრდება.

მოსახლეობასთან შეხვედრისას მიხეილ სააკაშვილს ეცვა მაისური წარწერით - “მე მიყვარს ხაშური”. “ეს ვანო ჯავახიშვილისა და ყველა იმათ ფინანს, ვისაც ხაშური არ მოსწონს და დასცინის,” - იხუმრა პრეზიდენტმა.

ბერნსი აშშ-ს მიერ საქართველოს მხარდაჭერაზე საუბრობს

“საქართველო ისევ რჩება შეერთებული შტატებისა და რუსეთის ურთიერთობაში ერთ-ერთ მთავარ შეუთანხმე-ბელ საკითხად,” - ამის შესახებ ჰილარი კლინტონის პირ-ველმა მოადგილემ წარმომადგენლობით პალატაში სიტყ-ვით გამოსვლისას განაცხადა. უილიამ ბერნსის თქმით, ვა-შინგტონი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღე-რებში.

მოსკოვთან შეუთანხმებელ საკითხებს შორის კი, სა-ქართველოსთან ერთად, სირიის თემა, ანტისარაკეტო თავდაცვა და ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემე-ბიც მოხვდა. ბერნსი რუსეთის ვაჭრობის მთაფლიო ორგა-ნიზაციაში განვერიანების საკითხსაც შეეხო და ამ კონ-ტექსტში საქართველოს ფაქტორზე კიდევ ერთხელ გაა-მახვილა ყურადღება. მან განაცხადა, რომ ორ ქვეყანას შორის არსებული კონფლიქტის მიუხედავად, საქართვე-ლომ ვაჭრობის გაზრდის მიზნით მაინც დაუჭირა მხარი რუსეთის სავაჭრო ორგანიზაციაში განვერიანებას. მისი თქმით, რუსული ეკონომიკის მოდერნიზაცია და გამჭვირ-ვალობა ყველა მხარის ინტერესებშია.

ცესკო-ში მრგვალი მაგიდა გაიმართება

ცესკო-ში დღეს მრგვალი მაგიდა გაიმართება თემაზე: “სასჯელალსრულების დანესტრულებებში წინასაარჩევნო კამპანიისა და ავტიაციის განკევა”. შეხვედრაზე განიხილა-ვენ, თუ რა პრობლემებია გამოკვეთილი მონიტორინგის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფასი სახალხო დამცველის აპარატის ჩართულობის საკითხში. აღნიშნულ თემაზე რეკომენდაციების შემუშავებაც იგეგმება.

შეხვედრას საქართველოს სასჯელალსრულების, პრო-ბაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა სამინისტ-როს, სასჯელალსრულების დეპარტამენტის, სახალხო დამცველის აპარატისა და არასამთავრობო ორგანიზაცი-ების (“საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო”; “ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია”; “სამართლიანი არ-ჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოე-ბის”) წარმომადგენლები დაესწირნენ.

შეხვედრას ორგანიზებას საერთაშორისო რესპუბლი-კური ინსტიტუტი უწევს ამერიკის შეერთებული შტატე-ბის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.

საქართველოში ტრეფიკინგის გამოძიება გააქტიურდა

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა საკუთარ ვებგვერდზე ტრეფიკინგის შესახებ 2012 წლის ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც 186 ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში არსებულ მდგომარეობაზეც არის საუბარი. ანგარიშის მიხედვით, მსოფლიოში ტრეფიკინგის მსხვერპლი 27 მილიონი ადამიანია.

ამერიკის შეერთებული შტატები სა-ქართველოს მთავრობას რეკომენდაცი-ას აძლევს, რომ უფრო მეტი მეთოდი გა-მოიყენოს ტრეფიკინგის პოტენციური მსხვერპლის აღმოსაჩენად; მოხდეს ამ პრობლემატიკაზე მომუშავე არასამთავ-რობოების დაფინანსება; გაკონტროლ-დეს საზღვრები და დადგინდეს, რამდე-ნად შემოდიან საქართველოში თავისი ნებით უცხოეთის მოქალაქეები.

“დაისაჯონ ის პირები, ვინც ტრე-ფიკინგს ახორციელებენ,” - ასეთია სა-ხელმწიფო დეპარტამენტის რეკომენდა-ცია.

ანგარიშის მიხედვით, საქართველო

არის ქალების სექსუალური ტრეფიკინ-გის და კაცების და ქალების იძულებითი სამუშაოს განმავრცოილებელი ქვეყა-ნაც, წყაროც და ტრანზიტიც. ანგარიშის მიხედვით, ქალები და გოგონები სექსუა-ლური ტრეფიკინგის მსხვერპლნი არიან როგორც თავად ქვეყანაში, ასევე თაე-ქეთში და არაბეთის გაერთიანებულ საე-მიროებში.

ანგარიშში ნათქვამია, რომ იყო შემ-თხვევები, როდესაც საქართველოში უზ-ბეკეთიდან ჩამოყვანილი გოგონები იძუ-ლებით პროსტიტუციაში ჩააბეს, კერ-ძოდ, საუნებში, სტრიპტიზ-კლუბებში და სასტიკმოროებში.

“გასულ წლებში იყო შემთხვევები, როდესაც საქართველოში უცხოელები სოფლის მეურნეობაში, მშენებლობა-ზე და სახლის დამლაგებლებად იძუ-ლებით ამუშავეს. გასულ წლებში თურ-ქი მამაკაცები გახდნენ იძულებითი შრომის მსვერპლნი ოკუპირებულ აფხაზეთში, რომელიც საქართველოს ცნებულური ხელისუფლების კონტ-როლის ქვეშ არ არის,” - ნათქვამია ან-გარიშში, სადაც ე.წ. ქუჩის ბავშვების

პრობლმაც არის მიმოხილული. ანგარი-შის ავტორების თქმით, საქართველოში ხშირად აქვს ადგილი ბავშვების ექსპ-ლუატაციას, რაც გამოიხატება იმაში, რომ მათ აიძულებენ მათხოვრობას და ქურდობას და ზოგჯერ ამ იძულებას სა-კუთარი მშობლები ახორციელებენ.

ანგარიშის ავტორების აზრით, სა-ქართველოს მთავრობა ტრეფიკინგის აღმოფხვრის მინიმალურ სტანდარტებს აკმაყოფილებს. თუმცა, მათი განმარტე-ბით, იმ პერიოდში, რა პერიოდშიც ეს კვლევა ჩატარდა, საქართველოს მთავ-რობამ ტრეფიკინგის შემთხვევების გა-მოძიების რაოდენობა გაზარდა, ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა ტრეფიკინ-გის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მიმართუ-ლი ტრეინინგების დაფინანსება და საინ-ფორმაციო კამპანია.

იუსტიციის მინისტრის პირველი მო-ადგილის თინა ბურჯალიანის შეფასე-ბით,

სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ყოველწლიურად მომზადებულ ანგარიშ-ში, საქართველო შეფასების უმაღლეს კატეგორიაში მოხვდა.

“ტრეფიკინგი არის ტრანსნაციო-ნალური დანაშაული და ხშირ შემთხვე-ვაში, არის ორგანიზებული დანაშაუ-ლი. სწორედ ამიტომ, ტრეფიკინგის წი-ნააღმდეგ ეფექტური ბრძოლისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო თა-ნამშრომლობა. ჩვენ ძალიან აქტიუ-რად ვთანამშრომლობთ, განსაკუთრე-ბით ჩვენს მეზობელ ქვეყნებთან, თურ-ქეთთან, აზერბაიჯანთან და სომხეთი-თან, რათა ჩვენი ძალისხმევა გაერთი-ანდეს და ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა უფრო ეფექტური იყოს,” - გა-ნაცხადა თინათინ ბურჯალიანმა.

იუსტიციის მინისტრის მოადგილის განმარტებითვე, სახელმწიფო დეპარტა-მენტის მოხსენებაში საქართველოს შე-სახებ ნათქვამია, რომ მთავრობამ მნიშ-ვნელოვნად გაზარდა ფინანსური სახს-რები პრევენციულ ღონისძიებებზე, მსხვერპლთა თავშესაფარსა და პროფე-სიონალთა გადამზადებაზე.

“მოხსენებაში ასევე ნათქვამია, რომ 2011 წელს საქართველომ წარმა-ტებით გამოიძია ტრეფიკინგის შემთხ-ვევები და პასუხისგებაში მისცა 5 დამ-

ნაშავე. მათი სასჯელები კი განისაზღ-ვრა 6-დან 19 წლამდე თავისუფლების აკვეციით. ანგარიშში ასევე დეტალუ-რად არის ახსენილი იმ მსხვერფერო-ვანი პრევენციული ღონისძიებების შესახებ, რომელიც დაფინანსდა სა-ხელმწიფო და დონორი ორგანიზაციე-ბის მხარდაჭერით და განხორციელდა როგორც სახელმწიფო მოხელეების, ასევე არასამთავრობო სექტორის მი-ერ,” - განაცხადა თინა ბურჯალიანმა.

მისივე განმარტებით, ანგარიშის მი-ხედვით სახელმწიფოები სამ კატეგორი-ად იყოფიან: პირველ კალათაში შედიან ის სახელმწიფოები, რომლებიც სრულად აკმაყოფილებენ ტრეფიკინგის მიმეფი ფონების აღმოფხვრის მინიმალურ სტანდარტებს, მეორე და მესამე კალა-თაში კი ხვდებიან ის სახელმწიფოები, რომლებიც ნაწილობრივ აკმაყოფილე-ბენ ან სრულიად ვერ აკმაყოფილებენ მინიმალურ სტანდარტებს. მეხუთე ნე-ლია, საქართველო პირველ კალათაშია წარმოდგენილი.

საკუთარი ინფორმაცია

რუსული ინტარსი სირიაში

პირველი გვერდიდან

ამის შესახებ თავად რუსული მე-
დია ძალოვან სტრუქტურებში საკუ-
თარ წყაროებზე დაყრდნობით წერს.
ქვეყნის თავდაცვის უწყება კი კვლა-
ვინდებურად ღუმს, ინფორმაციას არც
უარყოფს და არც ადასტურებს. სამა-
გიეროდ, ოფიციალურ დონეზე გან-
ცხადება რუსეთის საგარეო საქმეთა
სამინისტროში გააკეთეს ხომალდ
"ალაიდის" ბორტზე არსებული ტვირ-
თის შესახებ. სერგეი ლავროვის პრეს-
სპიკერის ალექსანდრ ლუკაშევიჩის
განცხადებით, "ალაიდით" სირიაში
იარაღი მიჰქონდათ. **"ხომალდმა
"ალაიდმა" პორტი 11 ივნისს დატო-
ვა. მის გემბანზე "მი-25"-ის კლასის
გამანადგურებლები იყო, რომლებიც
სირიის საკუთრებაა,"** - განაცხადა
ლუკაშევიჩმა.

საგარეო უწყების თანახმად, ბრი-
ტანეთის ნაპირებთან გაჩერებული გე-
მით სირიაში ჰაერსაწინააღმდეგო სა-
შუალებები და გარემონტებული სამი
ვერტმფრენი მიჰქონდათ, ოლონდ
დაშლილ მდგომარეობაში. თუმცა, ხო-
მალდის კურსი ბრიტანული სადაზლ-
ვევო კომპანიის "სტანდარდ ქლაბის"
მიერ კონტრაქტის გაუქმების შემდეგ
შეიცვალა. გემი ამჟამად მურმანსკის-
კენ მიემართება. ხომალდის რუსეთში
დაბრუნება დიდი ბრიტანეთის საგა-
რეო საქმეთა მინისტრმა უილიამ ჰეიგ-
მაც დაადასტურა. **"ჩვენ გვაქვს ინ-
ფორმაცია გარემონტებული რუსუ-
ლი სამხედრო ვერტმფრენებით დატ-**



ვითულ გემზე, რომელსაც გეზი სი-
რიისკენ აქვს აღებული," - ნათქვამი
იყო გაერთიანებული სამეფოს მიერ
ადრე გავრცელებულ განცხადებაში.
უილიამ ჰეიგმა რუს კოლევასთან ჯერ
კიდევ 14 ივნისს გამართულ შეხვედრა-
ზე აღნიშნა, რომ სირიისთვის თავდაც-
ვის ყველა საშუალების მიწოდება უნ-
და შეწყვეტილიყო. ბრიტანელები
აცხადებდნენ, რომ მჭიდროდ თანამშ-
რომლობენ საერთაშორისო პარტნიო-
რებთან იმისთვის, რათა სხვა ქვეყნე-
ბის დახმარებით არ გაძლიერდეს სი-
რიის რეჟიმი, რომელიც საკუთარ
მშვიდობიან მოსახლეობას სასტიკად

უსწორდება. ტვირთშიდი გემის
დაზღვევის ხელშეკრულების გაუქმე-
ბა იმდროს მოხდა, როდესაც ხომალდი
შოტლანდიის ჩრიდლოეთ სანაპიროე-
ბიდან 80 კილომეტრის დაშორებით იმ-
ყოფებოდა.
საზღვაო ხომალდებზე და შესაძ-
ლო რუსულ ჩარევებზე საუბარი სკან-
დალური ვერტმფრენების თემას მოჰ-
ყვა, მაგრამ, დაზვერვის მონაცემებზე
დაყრდნობით, სახიფათო მარშრუტის
შეცვლა ბრიტანეთის დახმარებით ამე-
რიკის შეერთებულმა შტატებმა შეძ-
ლო. მართალია, ოფიციალური მოსკო-
ვი არაფერს ამბობს, მაგრამ მედიის მი-

ბიზნესი

მომავალ კვირას სტამბულები TANAP-ის გაზსადენის პროექტის ცერემონია გაიმართება

თინა გავაძი

თურქეთი და აზერბაიჯანი მომა-
ვალ კვირას ხელს მოაწერენ სამთავ-
რობოთაშორისო შეთანხმებას
ტრანსანატოლიის გაზსადენის პრო-
ექტის (TANAP)-ის შესახებ. გაზსა-
დენით აზერბაიჯანული გაზის
თურქეთის გავლით ევროპაში
ტრანსპორტირება მოხდება.

ამის შესახებ Reuters-ი თურქე-
თის ოფიციალურ პირებზე დაყრდ-
ნობით იუწყება. როგორც სააგენ-
ტოს წყარო ამბობს, "პროექტზე მუ-
შაობა დასკვნით ფაზაში შევიდა. მო-
სალოდნელია, რომ მთავრობათაშო-
რისი შეთანხმება მომავალ კვირას
სტამბულში გაფორმდება."

სხვა თურქი ჩინოვნიკის თქმით,
ხელშეკრულების ხელმოწერის ცე-
რემონიალი, რომელსაც ქვეყნის
პრემიერ-მინისტრი რეჯებ ტაიპ ერ-
დოღანი და აზერბაიჯანის პრეზი-
დენტი ილჰამ ალიევი დაესწრებიან,
შესაძლებელია, 26 ივნისს ან რამდე-

ნიმე დღის შემდეგ გაიმართოს.
TANAP-ის პროექტის ხელშეკ-
რულების ხელისმოწერა აპრილში
იყო დაგეგმილი, მაგრამ არ შედგა
და შეფერხების მიზეზიც არ გახმაუ-
რებულა.

სააგენტო Turan-ის ინფორმით,
თურქეთის მხარეს მიაჩნია, რომ მო-
მავალში, როდესაც TANAP შექმნე-
ბა, სადაც მას 20 პროცენტი ეკუთვ-
ნის, ქვეყნის შემოსავლები და გავე-
ლენა უმნიშვნელო იქნება, ამიტომ
გადანწყევტა, რომ ამ პროექტის გან-
ხორციელების დაჩქარება არ ღირს.
ექსპერტების ვარაუდით, აპ-
რილში ამ მიზეზის გამო არ გაიმარ-
თა მხარეებს შორის მთავრობათა-
შორისი შეთანხმების ხელისმოწე-
რის ცერემონია.

პროექტის თავდაპირველი მონა-
წილეები არიან: SOCAR-ი (80 პრო-
ცენტი) და თურქული Botas-ი (10
პროცენტი) დ თურქეთის სახელმწი-
ფო ნავთობკომპანია "turkiye
Petrolleri Ao" (TPAO - 10 პროცენტი).

მომავალში კონსორციუმს შეიძ-
ლება შეუერთდეს ნავთობისა და გა-
ზის სხვა საერთაშორისო კომპანიე-
ბი, რომლებიც წილს მხოლოდ
SOCAR-გან შეიძენენ.

აზერბაიჯანმა გასულ
წელს თურქეთთან ხელი მოაწერა
შეთანხმებას გაზსადენის მშენებ-
ლობის შესახებ. ტრანსანატოლის
გაზსადენის (TANAP) მშენებლობის
ხარჯები, 2012 წლის მაისში, 6-7 მი-
ლიარდი დოლარად შეფასდა.

მეორე ფაზის ფარგლებში და-
გეგმილია შაჰ-დენიზის საბადოდან
16 მილიარდი კუბური მეტრი გაზის
მოპოვება, აქედან 10 მილიარდი კუ-
ბური მეტრი ევროპაში გაიგზავნება,
ხოლო 6 მილიარდ კუბურ მეტრს
თურქეთი მოიხმარს. გაზის მიწოდე-
ბა 2017-2018 წლებში უნდა დაიწყოს.
მოსალოდნელია, გაზსადენ TANAP-
ით გაზის მიწოდება 30 მილიარდ კუ-
ბურ მეტრმდე გაიზარდოს.

როგორც ირკვევა, პირველ
ეტაპზე საბადოზე, წელიწადში, გა-
ზის მოპოვება 25 მილიარდ კუბურ

მეტრს მიაღწევს.

შაჰ-დენიზის მარაგი, დაახლოე-
ბით 1,2 ტრილიონ კუბურ მეტრ გაზ-
სა და 240 მილიარდ კუბურ მეტრ გა-
ზის აირიდან კონდენსატს მოი-
ცავს. საბადოს ამუშევებენ: BP-ი
(ფლობს 25.5 პროცენტს), Statoil
(25,5 პროცენტს), SOCAR, NICO და
Total (10 პროცენტს), ასევე TPAO (9
პროცენტს). აზერბაიჯანის ხელი-
სუფლება გაზის ევროპაში მიწოდე-
ბის საკითხზე თურქეთსა და საქარ-
თველოს უკვე შეუთანხმდა.

აპრილში SOCAR-ის პრეზიდენ-
ტმა როვნაგ აბდულაევმა განაცხა-
და, რომ აზერბაიჯანში გაზის მოპო-
ვება 2020 წელს 30 მილიარდ კუბურ
მეტრს შეადგენს, ხოლო 2025 წლის-
თვის - 50 მილიარდს მიაღწევს.

პროექტი TANAP უნდა გახდეს
უფრო დიდი ნაწილი პროექტის გაზ-
სადენისა, რომელიც თურქეთის
საზღვრებიდან გაზის ევროპაში
ტრანსპორტირებას უზრუნველ-
ყოფს.

ამჟამად, კონსორციუმი "შაჰ-

ხეზულებისთვის იარაღის მიწოდება
ამერიკის შეერთებული შტატების
დაზვერვის ცენტრალურმა სამმართველომ
დაიწყო. გამოცემის თანახმად,
თურქეთის სამხრეთ ნაწილში სირიის
საზღვრის მახლობლად ფარულად მუ-
შაობს სამმართველოს თანამშრომელ-
თა ჯგუფი, რომლის წევრები სირიელ
ოპოზიციონერებს იარაღს უწვნილე-
ბენ. საზღვარზე გადატანას და ადგილ-
ზე ამბოხებულებისთვის მიწოდებას
მოძრაობა "მუსლიმთა სამოს" სირიუ-
ლი ფრთა უზრუნველყოფს. სირიაში კი
მდგომარეობა დაძაბულია, სროლა 21
ივნისს მხოლოდ ჰომში შეწყდა. საერ-
თაშორისო წითელი ჯვრის ინფორმა-
ციით, ასადის ხელისუფლება ამბოხე-
ბულებთან დროებით ზავზე შეთანხმ-
და, რათა ქალაქიდან მშვიდობიანი მო-
სახლეობის ევაკუაცია დაწყებულიყო.
სამაგიეროდ, ინტენსიურად დაიბომა
ჰომის გვერდით მდებარე ქალაქი
რასტანი. დაღუპულთა რაოდენობა
უცნობია, რადგან გაერთიანებული
ერების ორგანიზაციის დამკვირვებ-
ლები, მისიის დროებით შეჩერების გა-
მო, ადგილზე ვითარებას ვეღარ ეცნო-
ბიან. გაერთიანებული ერების ორგანი-
ზაციის ცნობებით, შარშან მარტში
დანყებულ არეულობას სირიაში
დღემდე 12 ათასზე მეტი ადამიანი შეე-
წირა, დაახლოებით 230 ათასი კი
ლტოლივლად იქცა. სირიაში მოქმედი
ადამიანის უფლებათა დამცველები კი
დაღუპულთა გაცილებით დიდ ციფრს
ასახელებენ - 15 ათასი ადამიანი.

დენიზი" მარშრუტების ორ ვარი-
ანტს განიხილავს: Nabucco-West
(განახლებული ვერსია პროექტის
Nabucco) და სამხრეთ აღმოსავლეთ
მარშრუტი (SEEP). გამარჯვებული
პროექტი ტრანსადრიატიკის მარშ-
რუტს (TAP) შეეჯიბრება. საბოლო-
ოდ გამარჯვებული პროექტი, სავა-
რაუდოდ, 2013 წელს გამოვლინდე-
ბა.

Nabucco და TANAP მოწოდებუ-
ლია, ევროპის დამოკიდებულება
რუსულ გაზზე შეამციროს.

თავის მხრივ, მოსკოვი აპირებს
2012 ბოლოსთვის "სამხრეთის ნაკა-
დის" მშენებლობა დაიწყოს, რომე-
ლიც შავი ზღვის ქვეშ გაივლის და
სამხრეთ ევროპის ქვეყნებს გაზს მი-
ანვდის. მილსადენის მშენებლობის
დასრულება 2015 წლისთვისაა და-
გეგმილი.

მიხეილ ფრიდმანმა BP-ს ინვესტორებს TNK-BP-ის წილის გამოსყიდვა შესთავაზა

თინა გავაძი

რუსი მილიარდერი მიხეილ
ფრიდმანი ლონდონში ინვესტო-
რებს შეხვდა და ბრიტანულ BP-ში
რუსულ-ბრიტანული ჰოლდინგის
TNK-BP-ს წილის გამოსყიდვის ვა-
რიანტები შესთავაზა.

Financial Times-ის წყაროს ინ-
ფორმაციით, ფრიდმანმა ინვესტო-
რებს TNK-BP-ს საკუთრების
სტრუქტურის შეცვლის ორი ვარი-
ანტი შესთავაზა. პირველ რიგში,
რუს აქციონერებზე (კონსორციუმი
AAR) BP-მ უნდა გაყიდოს აქციების
ნაწილი და ასევე მთლინად უნდა გა-
ყიდოს თავისი წილი TNK-BP-ში. მე-
ორე ვარიანტით, რუსი ინვესტორე-



ბი BP-ში და ჰოლდინგ BP-TNK-ში
აქციების 50 პროცენტს შეიძენენ.

გამოცემა მიიჩნევს, რომ ნაკ-
ლებად სავარაუდოა, BP რომელიმე
მათგანზე დათანხმდეს.

მანამდე BP-მ უკვე განაცხადა,
რომ არ დაუშვებს, გახდეს მინორი-
ტარი აქციონერი, თუმცა იმის უფ-
ლებას, რომ გახდეს TNK-BP-ის 100-
პროცენტიანის წილის მესაკუთრე,
BP-ს რუსეთის კანონმდებლობა არ
აძლევს.

TNK-BP-ს აქციების 50 პროცენ-
ტი BP-ს ეკუთვნის. აქციების დარ-
ჩენილი 50 პროცენტი კონსორციუმ
AAR-ს, რომლის 25 პროცენტი "ალ-
ფა ჯგუფს", კერძოდ მიხეილ ფრიდ-
მანის (12, 5 პროცენტი), ლეონარდ
ბლავატინისა და ვიქტორ ვეკსის

საკუთრებაშია.

ბოლო წლების განმავლობაში,
AAR-სა და BP-ს რამდენიმე კონფ-
ლიქტი ჰქონდათ, რომელიც TNK-
BP-ის მართვას ეხებოდა. კერძოდ,
აქციონერთა კონფლიქტის გამო
რობერტ დუდლი იძულებული გახ-
და, კომპანიის დირექტორის თანამ-
დებობა დაეტოვებინა.

2011 წელს, TNK-BP-ის მფლო-
ბელების შეუთანხმებლობის გამო,
"როსნეფტისა" და BP-ს აქციების
გაცვლა არ მოხერხდა.

TNK-BP-ი ერთ-ერთი უმსხვი-
ლესი კერძო რუსული ნავთობ-კომ-
პანიაა. 2011 წელს მან 84 მილიონი
ტონა ნავთობი მოიპოვა, ხოლო მის-
მა წმინდა მოგება, დაახლოებით, 9
მილიარდი დოლარი შეადგინა.

იპვიპტაჟი არჩევენაჟის შედეგაჟის გამოცხადება გადაიდო

სალომა ჯანაშვილი

კანონის თანახმად, არჩევენის შედეგები 21 ივნისს უნდა გამოცხადებულიყო, მაგრამ უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ განაცხადა, რომ სჭირდება დამატებითი დრო, რათა კანდიდატთა 400-მდე საჩივარი განიხილონ. შედეგები მოგვიანებით გამოცხადდება, თუმცა ზუსტი რიცხვი არ დაკონკრეტებულა. საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური გაიმართა 16-17 ივნისს. ორივე პრეტენდენტი “მუსულმანი ძმების” კანდიდატი მუჰამედ მურსი და სამხედროების წარმომადგენელი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი აჰმედ შაფიკი საკუთარ გამარჯვებებზე საუბრობენ. ისლამისტები მოითხოვენ, რომ არჩევნების შედეგები დაუყოვნებლივ გამოცხადდეს. “ეს ისტორია ხვალ (ხუთშაბათს) უნდა დავემთავროთ,” - განაცხადა “მუსულმანი ძმების” პრესსპიკერმა ნადერ ომრანმა. “თავისუფლებისა და სამართლიანობის პარტიის” (პანარაბული მოძრაობა “მუსულმანი ძმების” პოლიტიკური ფრთა ეგვიპტეში) წარმომადგენლები აცხადებენ, რომ გამართავენ მჯდომარე აქციას, რომელიც მანამ გაგრძელდება, სანამ შე-



დეგები ოფიციალურად არ გამოცხადდება, ხოლო სამხედროები, რომლებიც ქვეყანას გადატრიალების შემდეგ მართავენ, ძალაუფლებას არ დათმობენ. ისინი ასევე მოუწოდებენ ხალხს, რომ გამოვიდნენ თავრიის მოედანზე და გამოხატონ პროტესტი ახალ კონსტიტუციურ ცვლილებებზე, რომლის თანახმადაც ეგვიპტის შეიარაღებული ძალების უმაღლეს სამხედრო საბჭოს ფართო უფლებამოსილება ენიჭება. ამჟამად მოედანზე შეკრებილია ათი ათასობით ადამიანი. სიტუაცია “თაჰირიზე” ჯერჯერობით

უფრო წვეულებას მოგვაგონებს, მაგრამ განწყობა მალე შეიძლება შეიცვალოს. შედეგების გამოცხადებამდე ერთი დღით ადრე უსაფრთხოების ზომები გააძლიერეს. სრულ მზადყოფნაშია პოლიცია და ჯარი, ასევე სპეცდანიშნულების რაზმიც. ქალაქის გარეუბნების მთავარ მაგისტრატებზე განლაგებულია ჯავშანტექნიკა. განსაკუთრებულად დაცულია სახელმწიფო ინსტიტუტები და სასიცოცხლო ობიექტები, მათ შორის, სუეცის არხი. მეორე ტურამდე ერთი

დღით ადრე “მუსულმანი ძმების” ლიდერმა მუჰამედ მურსიმ მმართველი ძალა არჩევნების გაყალბების სამიშროების შესახებ გააფრთხილა. მან პირობა დადო, რომ თუ ეს ასე მოხდება, ქვეყანაში ახალი რევოლუცია დაიწყება. იმავდროულად, წინა საარჩევნო კომისიის წარმომადგენელთა განცხადებით, გაყალბებულია მილიონზე მეტი ხმა. გარდა ამისა, უფრო ადრე ცნობილი გახდა, რომ ზოგიერთ ოლქში ისლამისტები ხმების დათვისს დროს “შეცდნენ” რამდენიმე ათასი ხმით, მურსის სასარგებლოდ. საერთაშორისო დამკვირვებელთა ჯგუფმა ეგვიპტის არჩევნებზე, რომელსაც აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი ჯიმი კარტერი ხელმძღვანელობს, შემოფთება გამოხატა ხმის მიცემის “პოლიტიკური და საკონსტიტუციო კონტექსტის” გამო. “ძალიან შემოფთებული ვარ არადემოკრატიული ცვლილებით, რომელიც ეგვიპტემ თავისი განვითარების გზაზე განახორციელა,” - განაცხადა ჯიმი კარტერმა. ანალიტიკოსთა განცხადებით, ეგვიპტე კვლავ პოლიტიკური და კონსტიტუციური გაურკვევლობის პერიოდს უბრუნდება.

რუსეთი ნავთობზე ფასების ვარდნისათვის ემზადება

რუსეთის ხელისუფლება ბიუჯეტის ორ პროექტზე მუშაობს: პირველი გეგმიურია, მეორე კი - კრიზისული, ბარელ ნავთობზე ფასის 60 დოლარამდე დავარდნის შემთხვევისათვის. აღნიშნულის შესახებ “ვედომოსტის” რუსეთის ფედერაციის მაღალჩინოსანმა განუცხადა. კიდევ ერთი ბიუჯეტის ფორმირება კრიზისთან გამკლავების მზადებისათვის გახდა აუცილებელი. 2013 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელსაც სახელმწიფო სათათბირო განიხილავს, გათვლილია ბარელ ნავთობზე 90 დოლარის ფასის ვარიანტზე. ეს საშუალო ფასს წარმოადგენს ბოლო 5 წლის განმავლობაში და, აქედან გამომდინარე, რუსეთის მომავალი წლის შემოსავლებს განსაზღვრავს, - აღნიშნა პირველმა ვიცე-პრემიერმა იგორ შუვალოვმა. ის შემოსავლები, რომლებსაც უფრო ძვირი ნავთობის ფასის შემთხვევაში მიიღებენ, სარეზერვო ფონდში ჩაირიცხება. როგორც აღნიშნავენ, თუ ნავთობზე ფასი არსებული 100 დოლარიდან 80 დოლარამდე შემცირდა, ქვეყნის ხაზინა 1,2 ტრილიონი რუბლითაც ვერ შეივსება. 2012-2014 წლების ბიუჯეტის მომზადებისას ქვეყნის ფინანსთა სამინისტრომ უკვე გამოთვალა, რა დამართება სახელმწიფო ფინანსებს, თუ ნავთობზე ფასი 61,1 დოლარამდე დავარდება. ამ შემთხვევაში ბიუჯეტი შემოსავლების მეხუთედსაც ვერ მიიღებს და ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტი მთლიანი შიდა პროდუქტის 5,2 პროცენტს გაუტოვდება. ეს ბიუჯეტის დეფიციტის ოთხჯერ გაზრდას ნიშნავს. თუ ნავთობზე დაბალი ფასი ორი წლის განმავლობაში მაინც შენარჩუნდა, მაშინ სარეზერვო ფონდი ბიუჯეტის დაფინანსებისათვის საკმარისი აღარ იქნება. ცნობისათვის, Bank of America Merrill Lynch-ის შეფასებით, ნავთობზე ფასები 60 დოლარამდე, შესაძლოა, საბერძნეთის ევროზონიდან უკონტროლო გასვლის შემთხვევაში დავარდეს: ამ შემთხვევაში რუსეთში ინფლაცია 7,6 პროცენტამდე გაიზარდება, დოლარის ღირებულება კი 34,8 რუბლი გახდება.

“ჰამასი” ისრაელთან ცეცხლის შეწყვეტას დათანხმდა

პალესტინური დაჯგუფება “ჰამასის” თქმით, ეგვიპტის შუამავლობით მათი სამხედრო ფრთა ისრაელთან ცეცხლის შეწყვეტას დათანხმდა. ოთხშაბათს გამოქვეყნებულ განცხადებაში “ჰამასი” ირწმუნება, რომ ის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას მანამ დაცავს, სანამ მას ისრაელი არ დაარღვევს.

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ განცხადება არ გაუკეთებია ისრაელს, რომელიც აცხადებს, რომ ბოლო სამი დღის განმავლობაში ღაზას სექტორიდან მის ტერიტორიაზე 75 სარაკეტო იერიში განხორციელდა. “სი-ენ-ენ“-ის ცნობით, ორივე ქვეყნის ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ კვირას და სამშაბათს ორმხრივ საჰაერო და სარაკეტო იერიშებს ისრაელის ერთი და პალესტინის რვა სამხედრო ემსხვერპლა. ისრაელის სამხედროების განცხადებით, ქვეყანამ საჰაერო იერიში ღაზას სექტორიდან წამოსული სარაკეტო თავდასხმის შემდეგ განახორციელა.

ირანი სამხედრო ხომალდების მშენებლობას აპირებს

ირანის საზღვაო ძალებმა განაცხადეს, რომ ქვეყანა დამატებით სამხედრო ხომალდებს ააშენებს და საერთაშორისო წყლებში ყოფნას გაზრდის. ეს ყველაფერი კი ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით ახლო აღმოსავლეთში არსებული დაძაბულობის ფონზე ხდება. ირანის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის, ადმირალ ჰაბიბოლა საიარის თქმით, საერთაშორისო წყლებში განლაგება ქვეყნის გემებს მსოფლიო მასშტაბით დაიცავს. გავრცელებულ განცხადებაში საუბარია, რომ ირანის მხარეს სურს, ირანული გემები სომხური მეკონტაინერებისაგან დაიცავს. ირანულ საავტონომო IRNA-ს ინფორმაციაში ისრაელი ნახსენები არ არის. ქვეყნის სატელევიზიო არხების ცნობით, ირანი დაახლოებით ათი ხომალდის მშენებლობას გეგმავს, რომლებიც გამანადგურებელი და საარაკეტო ფრეგატებიც შევა. “საერთაშორისო წყლებში ჩვენი ყოფნა გამიზნულია ქვეყნის გემების უსაფრთხოების, ირანის დაცვისა და სამხედრო ძალების გაზრდისათვის,” - აცხადებს საიარი.

აზერბაიჯანი “კალაშნიკოვებს” “ტავორებით” შეცვლის

აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრომ გადანყვიტა, ქვეყნის არმიის შეიარაღებაში არსებული კალაშნიკოვის სისტემის რუსული ავტომატები ისრაელის წარმოების “ტავორ“-ის სისტემის ავტომატური შაშხანებით შეცვალოს. ტავორი თანამედროვე შაშხანია, მისი კალიბრია 5,56 და ამ იარაღს აწარმოებს კონცერნი “Israel Military Industries”. შაშხანის პირველი მოდელი “ტარ-21” 15 სახელმწიფოს შეიარაღებაშია. მას, ძირითადად, სპეცრაზმებისთვის იყენებენ, თუმცა ბოლო დროს ის რეგულარული არმიების შეიარაღებაშიც გამოჩნდა. პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებიდან “ტავორები” უკვე შესყიდული აქვს აზერბაიჯანსა და საქართველოს (თუმცა რუსეთთან ომის შემდეგ შაშხანების მიწოდება შეწყდა). აზერბაიჯანი აპირებს, ამ იარაღით მთლიანად შეცვალოს არმიის საკუთრებაში მყოფი “კალაშნიკოვები”. ამისთვის გეგმავს, ისრაელის კონცერნ “თავდაცვითი მრეწველობისგან” (TAAC) იყიდოს ლიცენზია და მოიერიშე შაშხანა “ტარ-21” საკუთარ ქვეყანაში აწარმოოს. ისრაელმა ამ სქემით უკვე მიანოდა ეს შაშხანები ბრაზილიასა და უკრაინას. წლის დასაწყისში აზერბაიჯანმა ისრაელთან ორი მსხვილი კონტრაქტი, 1,6 მილიარდი დოლარის საერთო ღირებულებით, უკვე გააფორმა. კერძოდ, შეისყიდა რამდენიმე ათეული უპილოტო თვითმფრინავი, რადარები და სხვა შეიარაღება.

მომზადდა თამთა კახაძემ

აქიმაჟის გაფიცვა ბრიტანეთში

დიდ ბრიტანეთში გუშინ დაიწყო ექიმების გაფიცვა, რომელიც პირველია ბოლო 40 წლის განმავლობაში. გაფიცვის მიზეზი გახდა საპენსიო სისტემის რეფორმის პროექტი, რომელიც ქვეყნის მთავრობამ მოაშადა. გაფიცვის მიდინარეობის პერიოდში გადაიდება ზოგი გეგმიური ოპერაცია და გაუქმდება ჩანერილი ავადმყოფების მიღება, თუმცა გადაუდებელი დახმარების, სპედატრიის და სამშობიარო განყოფილებები მუშაობას ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებენ. პროფკავშირები მიიჩნევენ, რომ ყველაფერი დამოკიდებული იქნება ექიმების რაოდენობაზე, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ გაფიცვაში. ჯანდაცვის ეროვნულ სამსახურში ექიმების უმრავლესობა ბრიტანეთის სამედიცინო ასოციაციის წევრია. ეს არის ქვეყანაში უმსხვილესი პროფესიული გაერთიანება, რომელიც მედიცინის სფეროს თანამშრომელთა უფლებებს იცავს. ასოციაციამ გამოკითხა 104 ათასი ექიმი და მათმა ნახევარმა გაფიცვაში მონაწილეობაზე წინასწარი თანხმობა განაცხადა. გაფიცვის დაწყებისას გაუქმდა მხოლოდ დაგეგმილი პროცედურების 10 პროცენტით. მათ შორის არის არასასწრაფო ოპერაციები, ისეთები როგორიც არის მუხლის ან თეძოს სახსრის შეცვლა. თუმცა გაუქმებული ოპერაციებისა და პროცედურების რიცხვი, სავარაუდოდ, თანდათან გაიზარდება. ყველა ექიმს არ ჩაუყენებია წინასწარ საქმის კურსში კლინიკების ხელმძღვანელობა იმის თაობაზე, რომ გაფიცვაში მონაწილეობას აპირებდა. მთავრობას და ბრიტანეთის სამედიცინო ასოციაციას მიაჩნიათ, რომ პრიორიტეტია პაციენტების მომსახურება გადაუდებელ შემთხვევებში, ამიტომ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ყველა ობიექტი, აგრეთვე, სატე-



ლეფონო კავშირი პედატრებთან ყველა ავადმყოფისთვის ხელმისაწვდომი იქნება. მიუხედავად ამისა, ჯანდაცვის ეროვნულმა სამსახურმა პაციენტები გააფრთხილა, რომ გაუქმებული მიღებების და ოპერაციების რაოდენობა შეიძლება იმაზე მეტი იყოს, ვიდრე თავიდან მოელოდნენ. ამ სამსახურის ერთ-ერთმა დირექტორმა დინ როლიზმა, რომელიც პერსონალის საკითხებზე პასუხისმგებელი, განაცხადა, რომ გაფიცვის გამო შეიძლება გადაიტვირთოს გადაუდებელი დახმარების განყოფილებები საავადმყოფოებში. “ჩვენ შემოფთებული ვართ იმ სირთულეებით, რომლებსაც პაციენტები გაფიცვის გამო შეიძლება შეეჩეხონ,” - თქვა მან. ჟურნალისტები გაესაუბრნენ დოქტორ ნავიმ აკრამს, პედიატრს და ამბულატორიის თანამფლობელს სუონსიში. ის აპირებს, საკუთარ პაციენტებს დაუარიგოს ბუკლები, რომელშიც მოთხრობილი იქნება კონფლიქტურ სიტუაციაზე. მანაც დაადასტურა, რომ მიიღებენ ყველა

პაციენტს, რომლებსაც გადაუდებელი დახმარება ესაჭიროებათ, მაგრამ არასასწრაფო პროცედურები უკვე გადაიდო. “არ მინდა, უხერხულობა შევუქმნა ავადმყოფებს, მაგრამ მიმაჩნია, რომ აუცილებელია, ახალი პროექტის გამო ჩემი უკმაყოფილება გამოვხატო. პროფესიული თვალსაზრისით გაფიცვა არც ისე კარგი ნაბიჯია, მაგრამ არც ის არის სწორი, რომ სამთავრობო შესწორება გააორმაგებს ჩემს მუშაობას პენსიაში გასვლამდე; იმ მიზეზით, რომ ამჟამინდელი საპენსიო სქემა თავის თავს ვერ ანახლებს,” - დასძინა ექიმმა. ბრიტანეთის სამედიცინო ასოციაციის ხელმძღვანელის, დოქტორ ხამიმ მელდრამის სიტყვებით, გაფიცვის მიზანია არა საზოგადოებასთან კონფრონტაცია, არამედ დაეა მთავრობასთან. “ცხადია, ჩვენს სიმართლეში ყველა ადამიანს ვერ დავარწმუნებთ, მაგრამ ჩვენ გვინდა ნამდვილი დისკუსიების გამართვა მტკივნეულ თემებზე, რომ ნინსელა შევძლოთ,” - თქვა მან.

პროფკავშირებთან 2008 წელს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ექიმები საპენსიო ფონდში იხდიან 2 მილიარდ გირვანქა სტერლინგს წელიწადში. ახალი კანონპროექტის თანახმად, მათ მეტის ჩაირიცხა მოუწევთ. ახალი საპენსიო სისტემის მიხედვით ექიმებს სრული პენსიის მისაღებად 68 წლამდე მუშაობა და იმაზე მეტი გადასახადის გადახდა მოუწევთ, ვიდრე საბიუჯეტო სფეროს სხვა მაღალანაზღაურებადი თანამშრომლები იხდიან. თუმცა ექიმების პენსია ერთ-ერთი მაღალია დიდ ბრიტანეთში. ბრიტანეთის ჯანდაცვის მინისტრმა ენდრიუ ლენსლიმ ექიმები გააკრიტიკა და განაცხადა, რომ ასოციაცია არ ითვალისწინებს ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეალობას. “ჩვენ ყველას გვინდა, რომ ქვეყანაში მეტი ფული იყოს, მაგრამ ეს ფული არ არის და ამიტომ ქაშრის მოჭერა ყველას მოუწევს,” - მკაცრად განაცხადა ჩინოვნიკმა. “ზი-ბი-სი“-ს მიხედვით მოამზადა ივა შილაკაძემ

პრემია "საბას" ფინალისტები

ლიტერატურული კონკურს «საბას» ჟიურიმ წლევიანდელი ფინალისტები გამოავლინა. კონკურსზე წარდგენილი 188 ნივთიდან, ფინალურ ეტაპზე, 42 საუკეთესო მოხედა.



ივნისის მიწურულს თბილისი ბანკში "საბას" რიგით მეათე საზეიმო დაჯილდოება გაიმართება. «საბას» პრიზებსა და ფულად პრემიებს 2011 წლის საუკეთესო ნივთების ავტორები მიიღებენ.

საპრემიო ფონდი 40 ათას ლარს შეადგენს, რომელსაც გამარჯვებულ ავტორებს თბილისი ბანკი გადასცემს.

"საბა" წელსაც, ტრადიციულად, 9 ნომინაციაში გაიცემა. წლევიანდელი ნომინაციების ფინალისტების სია ასეთია:

- წლის საუკეთესო პროზაული კრებული**
- ზვიად კვარაცხელია, **ყიფლიბანდი** (ინტელექტი)
 - ზურაბ ლეჟავა, **სინაღდე სიყალბისა** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
 - მიხო მოსულიშვილი, **მადლის ქვა** (სიესტა)
 - დავით ქართველიშვილი, **6 სიზმარი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
 - ცირა ყურაშვილი, **ხიზნები კომანის მონასტერთან** (ინტელექტი)
 - ბესო ხვედელიძე, **წითელი** (საუნჯე)

- წლის საუკეთესო პოეტური კრებული**
- ცირა ბარბაქაძე, **უცხოქალაქი** (უნივერსალი)
 - ელგუჯა მარია, **ნაბადი** (სვეტი)
 - პაატა შამუგია, **დაუჯდომელი** (სიესტა)
 - ვაჟა ხორნაული, **სიტყვები - სიყვარულის თვალები** (თო-ბალისი)
 - კატო ჯავახიშვილი, **ჭუპრი** (საუნჯე)

- წლის საუკეთესო რომანი**
- ზაზა ბურჭულაძე, **გასაბერი ანგელოზი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
 - აკა მორჩილაძე, **Obole** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
 - ირაკლი სამსონაძე, **ლვას-საათი** (ინტელექტი)
 - ზურაბ ქარუმიძე, **მელია ტულეფია: Foxtrot** (სიესტა)

- წლის საუკეთესო დებიუტი**
- ეკატერინე ახვლედიანი, **ორჰან ფამუქის "უმანკოების მუზეუმი"** (დიოგენე)
 - სალომე ბენიძე, **მოსხენებითი ბარათი** (ინტელექტი)
 - ნინო გუგუშაშვილი, **ფეისკონტროლი** (დიოგენე)
 - ჯაბა ზარქუა, **ვარმშადადური პარადოქსი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
 - უჩა ზაქაშვილი, **ხელით ნაქსოვი თოჯინები** (საუნჯე)
 - სანდრო ნავერიანი, **არგენტინული პიტბული** (სიესტა)
 - გიორგი ოქროპირიძე, **ლექსები** (გამოცა ავტორის ხარჯით)
 - სალომე სულაბერიძე, **ჰამალ** (არეტე)
 - ეკატერინე ტოგონიძე, **ანესთეზია** (საუნჯე)

- წლის საუკეთესო თარგმანი**
- მაია ბადრიძე, **რობერტ მუზილის "უთვისებო კაცი", ნივანი II** (დიოგენე)
 - ლევან ბერძენიშვილი, **არისტოფანეს "კომედიები", ტომი IV** (ლოგოს პრესი)
 - ნათელა გავაშელი, **ჩესლავ მილოშის "ისას დაბლობი"** (ინტელექტი)
 - ქეთი ქანთარია, **პენრი დევიდ თოროს უოლდენი ანუ ტყეში ცხოვრება"** (სიესტა)
 - ბელა შალვაშვილი, **ფირდოუსის "შაჰნამე"** (ნეკერი)
 - გივი შახნაზარი, **ნაჰაპეტ ქუჩაკის "ას ერთი ჰაირენი"** (ექსკლუზივ პრინტი)
 - ხათუნა ცხადაძე, **უმბერტო ეკოს "ვარდის სახელი"** (დიოგენე)
 - დავით წერედიანი, **იოჰან ვოლფგანგ გოეთეს "ფაუსტი"** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)

- წლის საუკეთესო პიესა**
- გურამ ბათიაშვილი, **მოქმედი პირნი და შემსრულებელნი** (ლიტ. პალიტრა)
 - ლაშა ბულაძე, **ნავიგატორი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
 - გურამ მეგრელიშვილი, **ნალაღატე ქმართა პირველადი დახმარებისა და მოღალატე ცოლთა რეაბილიტაციის ცენტრი** (დიოგენე)

- წლის საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა**
- რევაზ გაჩეჩილაძე, **ჩემი მეოცე საუკუნე** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
 - ნოდარ გრიგალაშვილი, **თანმდევი სული** (ახალი საქართველო)
 - გიორგი მაისურაძე, **ჩაკეტილი საზოგადოება და მისი დრაჟები** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
 - დათო ქარდავა, **ტულეტში საკითხავი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)

- წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა**
- ივანე ამირხანაშვილი, **თავისუფლების პარადოქსები** (ინტელექტი)
 - ლევან ბრეგაძე, **ლიტერატურული (გამო)ძიებანი** (არტანუჯი)
 - მაკო ჯანჯიბუხაშვილი, **მითის პოეტური ტრანსფორმაცია გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში** (წყაროსთვალი)

სადღაც სიმაღლეზე, სადღაც თუხეთში...

პირველი გვერდიდან

გამოფენასაც ასე პროზაულად ჰქვია. არავითარი სიმბოლოები და მეტაფორა. მხოლოდ ეს - "თუშური პროზა".

ფრანგული კულტურის დღეები ხუთ დღეს მოიცავს. პროგრამა მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. ძირითადად, ფრანგი შეფ-მზარეული ჟერარ კანა ილწვის სხვადასხვა დროსა და ადგილზე. როგორც ჩანს, საფრანგეთის საელჩო და კულტურის ინსტიტუტი დარწმუნებულია იმაში, რომ საქართველოში სამზარეულო ყველაზე მიმზიდველი კულტურაა და, ყველაფერთან ერთად, საუკეთესო ბიზნესიც. ბიზნესზე გამახსენდა. ფრანგული კულტურის გახსნაზე და, როგორც ჩანს, სხვა დღეებშიც მონოდების სიმალლეზე არიან ბიზნესკომპანიები, რომლებიც ამ ღონისძიებების მხარდამჭერებად გვევლინებიან. მათი პრეზენტაციები პროგრამაში კიდევ გვხვდება. გახსნის დღეს კი ამ კომპანიების მცირე პავილიონებს სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმში იმაზე დიდი ადგილი ეკავა, ვიდრე ფოტოგამოფენას. ეს ბიზნესის სტილია. კულტურას მხოლოდ ამ ფორმით აფინანსებენ. სხვა ფორმატით ვერა.

ფრანგული კულტურის



ნინო სადღობელაშვილი

დღეებში კიდევ ორი მნიშვნელოვანი ღონისძიება იქცევა ყურადღებას. ერთ-ერთია დღევანდელ საღამოს დაგეგმილი კლასიკური მუსიკის კონცერტი ქართველი სოპრანოს მარიამ გეგეჭკორისა და რომულდ ბაღე-ბაცისა (გიტარა) და სილვენ ნოელის (პიანო) მონაწილეობით. საღამო მთლიანად ფრანგულ მუსიკას მიძღვნება. პროგრამაზე ამ ეტაპზე უფრო წერილად ვერ გაიამბობთ.

ფოტოხელოვნების მოყვარულთათვის დიდ იმედებს აღძრავს 23 ივნისს გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში დაგეგმილი გამოფენა

"ფრანგული ფოტოგრაფია და-საბამიდან დღემდე". სათაური მეტისმეტად მასშტაბურია და საინტერესოა, ორგანიზატორებმა რისი წარმოჩენა გადაწყვიტეს ფრანგული ფოტოგრაფიის უკეთ ამოსაცნობად. ამაზე გამოფენის გახსნის შემდეგ აუცილებლად ვისაუბრებთ. ამ ეტაპზე კი ჩვენ ჩვენი თუში მეცხვარეების პორტრეტებს უნდა მივხედოთ.

პიერ ჟანმუჟენის ფოტოებია დღიურებს ჰგავს. აქ მთავარი თანმიმდევრობაა. როგორ აიღო ფოტოაპარატი, ცოტა საგზალი და როგორ აეკიდა მეცხვარეებს საძოვრებისკენ მიმავალ გზაზე. ტექსტებიც

ქართული პოეზია ლიტვაში

ბელა ჩაქარეშვილი



ნინო სადღობელაშვილი და მარიამ ნიკლაური

ქალაქის ხელმძღვანელობა, მწერალთა კავშირის წევრები და ა.შ. ხოლო ვისაც ვილნიუსის ქუჩებში გაუვლია, ერთხელ მაინც, უთუოდ თვალში ეცემოდა ნიუნის მაღაზიების ფართობი, მათ შორის, ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზეც, რაც ამ სფეროში საგადასაბადო შეღავათებზეც მეტყველებს.

ნებისმიერი ფესტივალის დანიშნულება, რასაკვირველია, კონტაქტების დამყარება და ქვეყნებსა და მწერლებს შორის ინფორმაციის გაცვლაა. ქართველი პოეტების ლიტერატურა ენაზე გადათარგმნაზე, როგორც ყოველთვის, მთარგმნელმა ნანა დევიძემ იზრუნა, რომელიც, შეიძლება ითქვას, ერთადერთი ხი-დია ლიტვა-საქართველოს შორის და როგორც ამ კონკრეტულ ფესტივალს, ისე სხვა კავშირებსაც ქართული მხარე სწორედ ნანა დევიძეს უმადლის. უტენას ბიბლიოთეკის დირექტორი ვიდა გარუნესტიტე დიდი ხანია მეგობრობს საქართველოში "ემპი-ვი საგამომცემლო ჯგუფის" ერთ-ერთ დამფუძნებელთან, მზია რაზმაძესთან, რომლის დამსახურებითაც საქართველო ლიტერატურულ ფესტივალზე იყო წარმოდგენილი. ეს საორგანიზაციო საკითხები ქართველი ლიტერა-

ტორებისათვის და ქართული ლიტერატურისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომაც ვაჩერებ თქვენს ყურადღებას ამაზე, თუმცა, რომ არა უშუალოდ შემოქმედების ხარისხი, საქართველო, შესაძლოა, ყოველწლიურად არ მიენივიათ.

მარიამ ნიკლაური: "ლიტველი ავტორები ჩვენზე არანაკლებ არიან დაინტერესებული საქართველოსთან კონტაქტით და საკუთარი შემოქმედების საქართველოსთვის გაცნობით. მათ გვთხოვენ, ჩვენი და სხვა პოეტების ლექსებიც გასაცნობად გადავუგზავნოთ. მსგავსი სურვილი გამოთქვს იქ სტუმრად მყოფმა რუსმა პოეტებმაც. ფესტივალში მონაწილეობდნენ ლენინგრადელი ავტორები - ოლეგ ლევიტანი და ვალენტინა ლელინა, ბელორუსი პოეტი, პენკლუბის ხელმძღვანელი ანდრეი ხადანოვიჩი, რომელიც კარგად იცნობს ქართულ ლიტერატურას და საქართველოს. ჩვენ ძალიან ცუდად ვიცნობთ ლიტერატურულ მწერლობას, თუმცა კი, მათ საკმაოდ საინტერესო მწერლები ჰყავთ. ფესტივალის ფორმატში ხდება ხოლმე ლიტვის ერთ-ერთი პრესტიჟული პრემიის - ანტანას მიშკინაუსის სახელობის პრემიის გადაცემა, რომელიც

დაუწერია. თითო ფოტოსთან თითო აბზაცია. ხან დახვეწულ-დაკლავილ გზებზე წერს, ხან - ყოფაზე, რომელმაც ხევსურების ნაწილად აქცია ფრანგი ახალგაზრდა და თითქოს ცოტა გამოუცდელი ფოტოგრაფი. მოგზაურობა სამი კვირა გაგრძელდა. შემდეგ იყო საძოვრები და სიმშვიდე. ყველაზე კარგი ამ ავტორთან ის არის, რომ ამ მსვლელობას არ ხედავს როგორც ეგზოტიკურ და ველურ აქტს. არამედ, თითქოს შიგნიდან ხედავს, თითქოს თავად ერთ-ერთი მეცხვარე იღებს. არაფერი აოცებს, მხოლოდ მეცხვარეების შრომისგან და გულწრფელობისგან გადაღლილი სახეები, ლალი ღიმილი.

ფრანგი ფოტოგრაფის ფოტოსერია რეპორტაჟად დაიბეჭდა ცნობილ ფრანგულ ჟურნალში "XXI" და მიუხედავად ამისა, ის არ ყოფილა დამკვირვებელი, ავტორი მეცხვარეების პროცესიის ნაწილია და ამიტომაც მისი ძალიან ჩვეულებრივი ფერადი ფოტოდოკუმენტები ჰგავს კარგ პროზას, საიდანაც მართლაც ბევრს გაიგებს ქართველიცა და ფრანგიც. გაიგებს ნამდვილ ამბებს და ზუსტად იგრძნობს დროსაც და გარემოსაც. დროსა და გარემოს სადღაც სიმაღლეზე, სადღაც თუშეთში.

წელს პოეტსა და მთარგმნელს მარიუს ბურკას გადაეცა. ფესტივალში მონაწილეობდა ლიტვის ცოცხალი კლასიკოსი ვლადას ბრანზიუნასი, მთარგმნელი და პოეტი, რომლის რამდენიმე მოთხრობასაც ქართველი მკითხველი ნანა დევიძის თარგმანით იცნობს. ამავე ფესტივალზე გაეცანით ლიტველი ბარდი - ალგიდას სვიდინსკასი - ძალიან საინტერესო შემოქმედებით.

ლიტერატურულ მწერლობას ქართული საზოგადოება მართლაც ძალიან ცუდად იცნობს. ისევე როგორც, ზოგადად, ლიტერატურულ ხელოვნებას და თავად ლიტვა-საც. ჩემი თაობისთვის და კიდევ უფრო ახალგაზრდებისთვის ამ პოსტსაბჭოთა ევროპული ქვეყნის ფენომენი სრულიად გაუაზრებელია. ქართულ ენაზე არსებობს კავკასიური სახლის მიერ გამოცემული "ლიტერატურის სასიძლერო ფოლკლორი", რომელიც თავის დროზე ქართველმა პოეტებმა თარგმნეს, და ნანა დევიძის მიერ გადმოქართულებული თანამედროვე ლიტერური მოთხრობების კრებული, სადაც შესულია ზემოთ ნახსენები ავტორი - ვლადას ბრანზიუნასი.

რაც შეეხება პოეზიის ფესტივალს, მასზე კიდევ ის შემოიღია ვითხრათ, რომ

ფესტივალი, ტრადიციულად, გამოსცემს ალმანახს ლიტერატურულ ენაზე, სადაც მარიამ ნიკლაურის და ნინო სადღობელაშვილის პოეზიაც შევა, თუმცა მანამდე ქართველი პოეტების შემოქმედებით ქალაქის მთავარი გაზეთი დაინტერესდა, რომელმაც ფესტივალის მონაწილეებს ცალკე გვერდი მიუძღვნა, თუმცა ეს გვერდი, ძირითადად, ქართულ პოეზიას მოიცავდა. მარიამ ნიკლაურსა და ნინო სადღობელაშვილთან ერთად, სტუმრებიდან წარმოდგენილი იყო მხოლოდ ლენინგრადელი პოეტის ოლეგ ლევიტანის ლექსები.

ბალახის სეზონი

ალექსანდრა ასათიანი

უიმბლდონი ჯერ ისვენებს. ბალახის კორტებზე საკვალი-ფიკაციო ამბებია და მალე ძირითადი, დიდი ბიჭები დაიწყებენ ბადის დაცხრილვას. როჯერ ფედერერი ამ გენერაციის პიტ სამპრასია და შვეიცარიელი კიდეც ერთი ლაივისთვის გადის რეპეტიციას. როჯი ლონდონში ჩაისეირნებს და საქმეს მიხედავს. უიმბლდონისთვის ბევრი რაღაც გადანაწილდება და ხალხი აზრზე მოვა. უიმბლდონი საჩოგბურთო ვუდსტოკია და იქ სამი ჰედლაინერი ჩავა. დანარჩენები დანარჩენებს მიხედავენ და სამი მეფე საქმეს მიხედავს. უიმბლდონზე შეისეირნებენ როიალური ოჯახის წევრებიც.

უიმბლდონამდე ფედერერი და ნადალი ჰალეში ჩავიდნენ. ტურნირი, რომელიც გერი უებერის რამდენიმე მილიონი ევროთი ტარდება და ტურნირი, რომელიც საპრიზო ფონდით ქვინზამდე ვერ ქაჩავს. მაინც საინტერესოა. ჰალეში გემრიელ ფუნთუშებს აცხოვენ. ჰალეში მიხაელ შტიხს კოხტა, 30-ოთახიანი ბინა აქვს და ჰერ შტიხი ისვენებს.

ნადალი წელს სტაბილურია. რაფაელი სულ სტაბილურია და ნოვაკ ჯოკოვიჩის არითმიის ფონზე რაფაელმა რაღაც მომენტში სერბზე მეტი მოასწრო და სარეიტინგო ჰანდიკაპი გადაჭრა. ჯოკოვიჩმა ამ სეზონში ორი ტურნირი წამოიღო, რამდენიმე ცუდი, უემოციო ივენთი დაფარა და ჯერ პირველზეა. სერბს შეიძლება ყური აუწიონ და ორკვირიანი გარჩევების შემდეგ პირველ ადგილზე ნადალი ან ფედერერი გადავა. ეს თემა უკვე გავიარეთ. ეს თემა უკვე არაპოპულარულია.

ნადალს გერმანიაში გერმანელმა ფილიპ კოლშრაიბერმა მოუგო. ორ სეტში სწრაფ კორტებზე სწრაფი თამაშით და აგრესიით მოუგო. გერი უებერის ტურნირი წელს მეორეა, სადაც ნადალი ნახევარფინალამდე გააგდეს. კოლშრაიბერმა ფინალამდე ვერ იარა. არიულ რესტლინგში ფილიპს გერმანული ჩოგბურთის დევიდ დუხოვნიმ, ტომი ჰაასმა აუწია ყური. ტომი გავა ფინალში, სადაც ფედერერს ნოსტალგიურ სეანსს ჩაუტარებს. სეანსი, რომელიც როჯერმა ვერ გაიარა. ტომი ძალიან კარგი, ლამაზი, მონატრებული იყო. ჰაასმა მოსაგები მოიგო და პირველ ორმოცდაათ კაცში დაბრუნდა.

ნადალი აგრესიას ანაწილებს და ესპანელი ყველა საფარზე ყველასთან მოგებას შეეჩვია. როლან გაროზე რაფაელის მეშვიდე სიმფონია კარგი მოსასმენი, რამდენიმე ნაწილად დაყოფილი, კომპაქტური იყო. ესპანელი ბიორ ბორგზე წინ ზის და რაფაელი ფედერერს უახლოვდება. ჯამური ბონუსების ამბავში. როჯერს დიდი სლემის 16 ტურნირი აქვს მოგებული. რაფაელმა 11 ჯექ-პოტი მოხსნა. In Nadal We Trust - პოპულარული სლოგანი პოპულარულ პოსტერზე, რომელიც წინა უიმბლდონზე ვილაც ბებოს ეჭირა და ის ბებო არ გაჩერებულა. შთამბეჭდავი კადრები იყო.

ბალახზე რაფაელი ისვენებს. ესპანელმა ორჯერ წამოიღო მთავარი პრიზი. ოთხი წლის წინ ფინალში ეპიკი ფედერერს მოუგო და შარშანწინ ტომამ



რაფაელ ნადალი ფორმში შედის

ბერდისს შეუსრულა. ფედერერი წელს ძალიან კარგია. ჯოკოვიჩმა ვერ დაისვენა და მაინც სახიფათოა. სხვები ცოტა სხვა დონეა. სხვებზე მერე ვისაუბროთ. სამი დიდი ბიჭის შემდეგ. იქ ლეგიონშიც რამდენიმე საინტერესო პერსონაჟია და ის ლეგიონიც ქაჩავს.

ბოლო ექვს სეზონში რაფაელი ხუთჯერ გადის უიმბლდონის ფინალში. შარშან ჯოკოვიჩმა გადაუწია ხელი. სხვა დროს ფედერერი ცელქობდა. გრუნტის შემდეგ ბალახი ესპანელის ფავორიტი საფარია. ჰარდზე ნადალთან მოგება რაღაც მომენტში რეალურია. გრუნტზე რაფაელი ტერმინატორია, ბალახზე - რობოკოპი. ესპანელი არ ილღება და თუ მეორე კვირისთვის იმ ორ ფავორიტზე ნაკლებ სეტს ითამაშებს, რაფაელი ყველას მოუგებს. ესპანელმა უიმბლდონისთვის ერთკვირიანი პაუზა აიღო.

გრუნტიდან ბალახზე გადასვლა ძნელია. სხვა ტემპი, ბურთი უფრო მაღლა ადის და იმპროვიზაციისთვის ნაკლები დრო რჩება. ნადალი გრუნტზე უპრობლემოდ აგვარებს პრობლემებს და ბალახზე ესპანელმა უნდა გაძლოს. იქ მეტი მოხვედრა და თუ ნადალი ევანდერ ჰოლიფილდით ბოლომდე იდგება, ფინალის ალების რეალური შანსი აქვს.

ჩოგბურთის პროფესორები ჯოკოვიჩს ამ წლის გამოგონილ ფავორიტად ასახელებენ. სერბი ფავორიტია სტატუსით, რეიტინგით და ვერ გხიბლავს თამაშით. უნდა მოუმატოს.

ფედერერი სულ ფედერერია. ამ სეზონში როჯერმა ოთხი ბონუსი დაირტყა, ორივე მეიჯორზე ნახევარფინალში შევიდა და კარგი, მართლა კარგია. უბრალოდ, ბოლო ორ სეზონში როჯერი თითქმის ვერ უგებს ესპანელს და სერბს. ჯოკოვიჩთან და ნადალთან როჯერს ბოლო 13 პირადულიდან 10 აქვს წაგებული. ცუდი სტატისტიკაა.

ბალახზე როჯერმა ექვსი სადოქტორო დაიცვა, ჯიმი პეიჯის იდეები ჩოგბურთში გადაიტანა. ფედერერის საჩოგბურთო ქაშმირი ყველაზე მაგარი თემა იყო. ნადალის ჩოგბურთი ტონი აიომის მძიმე რიფინგი და ოზი ოზბორნის ცივი ხმაა. ფედერერში პეიჯის და პლანტის ქაშმირია წამოწოლილი. ვის რომელი და რა მოგწონთ, თქვენი საქმეა. სამი ცუდი, დაუღლე-ლი და სხვაზე ნიჭიერი კაცი საქმეს მიხედავს. უიმბლდონის მეორე ეშელონიც გავიარეთ.

ჟო-ვილფრედ ცონგამ ქვინზში თითი იტკინა და უიმბლდონზე ცოტა ასანყობი იქნება. ფრანგი როლან გაროზე არარეალურად კარგი იყო და ჯოკოვიჩთან რამდენიმე მატჩ პოინტიც მიიღო. ჩოგბურთის მუჰამედ ალი დადებითი, ბუნწულა ბიჭი და მეორე ეშელონის ფავორიტია.

ხუან მარტინ დელ პოტრომ აქ შარშან კარგად ითამაშა. გაავდა მეოთხე წრეში, იქ ნადალს წაართვა სეტი, კინაღამ კიდეც ორი სეტი წაართვა და ხუანიტო უმატებს. ეს დელ პოტრო ძველ არგენტინელ კიბორგზე ღინჯი

და ოდნავ შეწელებულია. ძველი დელ პოტრო სისწრაფით იგებდა. ეს დელ პოტრო გამოცდილებით, მომთმენი თამაშით გლლის. დელ პოტრომ უნდა მოიგოს პირველი სამი გარჩევა და მერე ვნახოთ. გააჩნია, ვინ იქნება მაღალი ბიჭის პარტნიორი. არგენტინელზე ლონდონში ბევრი არგენტინელი მივა.

იქვე იტალიელებს მარდი ფიში, რომელიც წელს აჭრილია. იქვე ირბენს მილოშ რაონიჩი, რომელიც პერსპექტივაში, პირველ სამეულთან ზის და რეალურად პირველი სამეულისგან შორს იმყოფება. დავიდ ფერერი ბალახზე უმუღამო ტიპია და ტომამ ბერდიხი... ჩეხმა შეიძლება ვინმეს წამოარტყას. ბერდიხი ბალახზე იგებს. მომგება და მოუგია. ტომამის პერსპექტივა ტომამის განწყობაზე იქნება დამოკიდებული.

უიმბლდონი ჯერ ისვენებს. ბალახის კორტებზე საკვალი-ფიკაციო ამბებია და მალე ძირითადი, დიდი ბიჭები დაიწყებენ ბადის დაცხრილვას. როჯერ ფედერერი ამ გენერაციის პიტ სამპრასია და შვეიცარიელი კიდეც ერთი ლაივისთვის გადის რეპეტიციას. როჯი ლონდონში ჩაისეირნებს და საქმეს მიხედავს. უიმბლდონისთვის ბევრი რაღაც გადანაწილდება და ხალხი აზრზე მოვა. უიმბლდონი საჩოგბურთო ვუდსტოკია და იქ სამი ჰედლაინერი ჩავა. დანარჩენები დანარჩენებს მიხედავენ და სამი მეფე საქმეს მიხედავს. უიმბლდონზე შეისეირნებენ როიალური ოჯახის წევრებიც...

ევრო 2012-მა ჩინელი შეიწირა

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატისთვის ცხოვრების წესის შეცვლა ჩინელ გულშემატკივარს სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ჩანშის მკვიდრმა, 26 წლის ფეხბურთის გულშემატკივარმა ცზიან სიაოშანმა ევრო 2012-ისთვის ცხოვრების წესი მკვეთრად შეიცვალა. ფეხბურთის თავგადაკლული გულშემატკივარი არ ეწეოდა, არ სვამდა, მაგრამ როგორც კი პოლონეთსა და უკრაინაში ევროპის ჩემპიონატის ციებ-ცხელება დაიწყო, თავის პრინციპებს ერთბაშად უღალატა. ჩემპიონატის მატჩების გამო ცზიან სიაოშანს თითქმის არ ეძინა. ევრო 2012-ის მატჩები ჩინეთის დროით დილით ადრე გადაიცემა. ფეხბურთის ყურება კი ნერვიულობის გარეშე წარმოუდგენელია. სიაოშანი სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. ახალგაზრდა გულშემატკივარმა ასეთ რეჟიმს ვერ გაუძლო და გარდაიცვალა..

ეს პირველი შემთხვევა არ არის საფეხბურთო ჩემპიონატების ისტორიაში. 2006 წლის გერმანიისა და 2010 წლის სამხრეთ აფრიკის მსოფლიო ჩემპიონატების დროს აზიიდან ხშირად მოდიოდა ინფორმაცია გულშემატკივართა მკვეთრად გაუარესებული ჯანმრთელობის შესახებ.

კაპელომ ესპანეთ-გერმანიის ფინალი იწინასწარმეტყველა

ინგლისის ნაკრების ყოფილ თავკაცს ფაბიო კაპელოს მიაჩნია, რომ ევროპის პირველობის ფინალში ესპანეთისა და გერმანიის ნაკრები გუნდები ითამაშებენ. "ტურნირის ფინალში ესპანეთისა და გერმანიის ნაკრები გუნდები ითამაშებენ. არ გამოვრიცხავ, რომ ფინალში ინგლისმა ან იტალიამაც გაღწიოს. ინგლისის ნაკრებზე საუბარი მიჭირს, რადგან ამ გუნდს ოთხი წლის განმავლობაში ვავარჯიშებდი. იტალია-ინგლისის მატჩშიც არაერთგვაროვანი გრძნობა დამეუფლება. დაუზბრუნდები გერმანიის ნაკრებს. ეს გუნდი საოცრად ბრძოლისუნარიანია. რაც შეეხება ესპანეთის ნაკრებს, ის მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთს თამაშობს", - ამბობს კაპელო.

მესის იმედი აქვს, რომ კარიერის ბოლომდე "ბარსაში" დარჩება

"ბარსელონას" არგენტინელი თავდამსხმელი ლიონელ მესი კატალონიურ კლუბში ყოფნასთან დაკავშირებით თავის მოსაზრებებს გვიზიარებს. "რეალში" გადასვლაზე არ ვფიქრობ, - ამბობს არგენტინელი ესპანურ "მარკასთან". - "ბარსელონა" ჩემი სახლია. იმედი მაქვს, კარიერის ბოლომდე "ბარსელონაში" ვითამაშებ".

სნეიდერი ცვლილებებს ითხოვს

ევრო 2012-ზე წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ ჰოლანდიის ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს უესლი სნეიდერს მიაჩნია, რომ გუნდს ცვლილებები ესაჭიროება. "ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს. წლევანდელ ტურნირზე ჩვენი თაობისთვის რომელიმე დიდი ტურნირის მოგების ბოლო შანსი იყო, მაგრამ ვერ გამოვეყენეთ. გასაკვირია, მაგრამ ორი წლის წინათ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ვითამაშეთ, ახლა კი ფლეი-ოფშიც ვერ გავვდით. მიზეზი მხოლოდ საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ. ვფიქრობ, გუნდში ბევრი ცვლილება მოხდება. ვერ გეტყვით, რა შეუძლია ახალგაზრდა თაობას, მაგრამ შემადგენლობის მთლიანად შეცვლა არ ღირს. მგონია, რომ ახალგაზრდები ჯერ ყველაფრისთვის მზად არ არიან", - ამბობს სნეიდერი.

ზიდანს ინიესტა საკუთარ თავს აგონებს

მეოთხედფინალში საფრანგეთის ნაკრებს ესპანეთის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ მოუწევს თამაში. ლეგენდარულმა ზინედინ ზიდანმა «ფურია როხა» შეაფასა. "განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ანდრეს ინიესტა. სწორედ მასზეა დამოკიდებული ესპანეთის ნაკრების თამაში. ის მე საკუთარ თავს მაგონებს. ვფიქრობ, ხორვატიასთან მატჩის შემდეგ ესპანელებს ზედმეტად აკრიტიკებდნენ. ჩემი აზრით, დელ ბოსკეს გუნდი ბრწყინვალე ფეხბურთს თამაშობს. ესპანელების წინააღმდეგ მატჩებში მეტოქეები თითქმის მთელი გუნდით იცავენ თავს. ასეთ დროს მეტოქის დაცვითი ბარიერის გადალახვა ძნელია", - ამბობს ზიზუ.

კეიტ აპტონი უნაგირიდან აუზში გადაეშვა

ყოფილი ცხენოსანი, ამერიკელი კეიტ აპტონი ისევ აოცებს თავყანისმცემელებს. ოღონდ 20 წლის ლამაზმანი ყურადღებას იპყრობს არა ცხენზე ჯირითით, არამედ მკერდის დემონსტრირებით და აქაც არავის ჩამოუვარდება. ქერათმიანი ამერიკელი ხშირად ხვედება პრიალა ჟურნალების გარეკანზე. მათ შორის, რა თქმა უნდა, საბრტული ჟურნალების, სადაც საცურაო კოსტიუმებსა და საცვლებს, მაღალქუსლიან ფეხსაცმელებსა თუ დახეულ ჯინსებს, კოვბოის პერანგებსა და, საერთოდ, ქალის გარდერობის სხვადასხვა საინტერესო ნივთებს უწევს რეკლამირებას.

ამჯერად კეიტ აპტონი მთელ თავის ბრწყინვალეობას აუზიდან წარმოგვიდგენს. არა, რეკლამისთვის არა. ისე, უბრალოდ, რამაც განსაკუთრებით გაახარა ძლიერი სქესის წარმომადგენლები.

ბარდაცვალება რამაზ შენგელია

პირველი გვარდიან

დიუსელდორფშიც, 1981 წლის 13 მაისს, რამაზ შენგელიას გარღვევას და პასს მოჰყვა ვლადიმერ გუცაევის გოლი, რომლის წყალობითაც ჯერ ანგარიში გავათანაბრეთ, ხოლო შემდეგ, ნაადრევად ნასული კიდევ ერთი დინამოელის, ვიტალი დარასელიას გოლით ეს ევროპული ჯილდო მოვიგეთ.

1978 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, ფეხბურთელი და ჩემპიონი, 1979 წლის სსრკ-ის თასის მფლობელი, 20 წლამდე ფეხბურთელთა შორის 1980 წლის ევროპის ჩემპიონი და 1981 წლის თასების მფლობელთა თასის ტრიუმფატორი... საბჭოთა კავშირის სპორტის მამებმა შენგელია 1981 წელსაც საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ბევრი სპეციალისტის აზრით, შენგელია არა მხოლოდ საბჭოეთის, არამედ მთელი ევროპის მასშტაბით იმ ეპოქის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი იყო. ამის დასტურად ცნობილი რუსი კომენტატორისა და ჟურნალისტის, ნარსულში მეკარის, ან გარდაცვლილი ვლადიმერ მასლაჩენკოს სიტყვების მოყვანაც



კმარა. "რამაზ შენგელიას დონის ფეხბურთელი საბჭოურ ფეხბურთის ძალიან ცოტა თუ ჰყავდა. ყველაზე გამოგნებული ამ ფეხბურთელის სტაბილურობა იყო. შენგელიას "დინამოში" 11-წლიანი აქტიური კარიერის განმავლობაში ერთი სეზონიც კი არ ჩაუგდია. ყოველთვის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელების მონიშვნებში იყო და ამ ხნის განმავლობაში საუკეთესო სამეულს ერთხელაც არ გასცდენია", - ასე დაახასიათა რუსული სპორტული ჟურნალისტიკის მაცნობი ქართველი თავდამსხმელი და არც შემცდარა. გასული საუკუნის 80-იანების მიწურულს სწორედ შენგელია იყო იმ იშვიათ ფეხბურთელთაგანი, რომლის ოსტატობასა და კლასზე დაყრდნობით, მწვავე კრიზისში ყოფნის მიუხედავად, თბილისის "დინამო" საბჭოური და ევროპული ფეხბურთის ელიტას არ ტოვებდა. ამის დასტურად 1987 წელს "დინამოს" მიერ გერმანიის ქალაქ ბრემში ჩატარებული უეფას თასის მერვედფინალური შეხვედრაც კმარა. ის თამაში რამაზ შენგელიას კარიერაში ერთ-ერთი გამორჩეული იყო. მე-20 წუთისთვის "დინამო" 0:2-ს აგებდა და დიდი ანგარიშით

მარცხის საფრთხე გაჩნდა. ორი კვირით ადრე ამავე ტურნირის მეთექვსმეტედფინალში რუსეთის სახალხო გუნდი და სიამაყე, მოსკოვის "სპარტაკი" გაპამჟულავდა, როცა 2:6 ნააგო. "დინამოსთვის" იმ მძიმე წუთებში გუნდის ნამდვილი ლიდერის ფუნქცია თავის თავზე სწორედ შენგელიამ აიღო, გოლიც გაიტანა, უამრავი სხვა ხიფათიც შეუქმნა გერმანელთა კარს, "ვერდერის" დაცვა მართლაც გაანაშა და, მართალია, დავმარცხდით 1:2, მაგრამ თბილისში შემდეგ ეტაპზე გასვლის კარგი შანსი ჩამოგვიტანა.

"თავზარდაცემული ვარ და ვერ დამიჯერებია, რომ რამაზი აღარ არის. ერთი მხრივ, ასეთი დიდი ფეხბურთელი, ხოლო, მეორე მხრივ, ასეთი თავმდაბალი, გულისხმიერი და ყველა ღირსებით შემკული პიროვნება ქართულ ფეხბურთში ბევრი არ გვყოლია. ეს ვეტერანი ფეხბურთელებისთვის, ქართული საფეხბურთო ოჯახისა და მთელი საქართველოსთვის დიდი დანაკლისია", - გვითხრა რამაზ შენგელიას გარდაცვალებით დამწუხრებულმა მურთაზ ხურცილავამ.

"24 საათი" სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კოლინამ შეცდომა აღიარა



პიერლუიჯი კოლინა

უეფას სამსაჯო კომიტეტის ხელმძღვანელმა პიერლუიჯი კოლინამ აღიარა, რომ უკრაინა-ინგლისის მატჩში მსაჯი შეცდა, როდესაც ინგლისელთა კარში გატანილი გოლი არ ჩათვალა.

ამავე დროს კოლინა ამბობს, რომ შეცდა არა მატჩის მთავარი არბიტრი კაშია, არამედ მისი თანაშემწე, რომელიც კარის ხაზთან დგას ხოლმე.

კაშია თავის ბრიგადიანად ევროპის ჩემპიონატზე აღარ იმსაჯებს. ტურნირის დაწყების წინ კი ბევრი ამბობდა, რომ უნგრელი არბიტრი ფინალში მუშაობის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია.

"შეცდომა ნამდვილად იყო, თუმცა, კაშაის ვერაფერში ვერ დავადანაშაულებთ. ის, უბრალოდ, ვერ შეძლება ზუსტად განესაზღვრა, იყო თუ არა გოლი. ეს ხაზის არბიტრს უნდა გაეკეთებინა. აქვე ვიტყვი, რომ ხუთი მსაჯის ექსპერიმენტმა გაამართლა. უკვე 1000-მდე მატჩი გაიმართა ხუთი მსაჯით და ეს პირველი შეცდომაა. რაც შეეხება კაშაის ტურნირიდან გაშვებას, ეს ამ შეცდომის გამო არ მომხდარა. ამ ეპიზოდის შემდეგ მსაჯზე დიდი ფსიქოლოგიური ზეწოლა იქნებოდა და გადავწყვიტეთ, მისთვის დასვენების საშუალება მიგვეცა. სამსაჯო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ევრო 2012-ზე შეიძლება დავტოვოთ მთავარი მსაჯი და მისი რომელიმე თანაშემწე სახლში გავუშვათ. მაგალითად, მეოთხედფინალში ჰოვარდ უებს ჰოლანდიელი თანაშემწე ეყოლება, - განაცხადა კოლინამ და შემდეგ ჯგუფურ ეტაპზე ლაინსმენების საქმიანობაც შეაფასა, - ტურნირის დაწყებამდე დიდი ყურადღება დავუთმეთ ლაინსმენების მომზადებას. ვიცი, ყველას ციფრები აინტერესებს. ეპიზოდებში, როცა ფეხბურთელებს შორის მანძილი მეტრზე მეტი არ იყო, თამაშგარეშ დაფიქსირებისას მსაჯების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების 95.7 პროცენტით მართებული იყო. ესე იგი, 302 ეპიზოდიდან მსაჯებმა 289-ჯერ სწორად განსაჯეს. 19 გოლი კი იმის წყალობით გავიდა, რომ მსაჯებმა სწორად არ დააფიქსირეს თამაშგარე. სამ მაგალითს მოვიტან. ნავასის გოლი ხორვატიის ნაკრების კარში და კრიშტიანუ რონალდუს ორი გოლი ჰოლანდიელთა კარში."

დანიელ დე როსი: "დროა, ბალოტელი კაცად ჩამოყალიბდეს"

იტალიის ნაკრები ინგლისთან გასამართი მეოთხედფინალური მატჩისთვის კრაკოვში ემზადება. "სკუადრა აძურამ" იუზეფ პილსულსკის სტადიონზე (კლუბ "კრაკოვიას" საშინაო არენა) ღია ვარჯიში გამართა. იტალიელთა სანახავად მისული პუბლიკა მარიო ბალოტელიმ გაახალისა. ვარჯიშის შემდეგ სუპერმარიოს ავტოგრაფებისთვის პატარა გულშემატკივრების მთელი არმია დაესია. ჟურნალისტებს უკვირდათ, რა ხდება, ავტოგრაფზე მარტო ბალოტელისთან რატომ მიდიანო, თუმცა, ერთ-ერთმა უცხოელმა რეპორტიორმა შენიშნა: შეხედეთ ბავშვების ასაკს, როდესაც ბუფონი და პირლო მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ, ეს ბავშვები ალბათ დაბადებულებიც არ იყვნენო.

მოკლედ, ბალოტელი ყურადღებს ცენტრშია. სწორედ იტალიელთა ჭირვეულ ფორვარდზე საუბრით დაიწყო ინტერვიუ "სკუადრა აძურას" ერთ-ერთ ლიდერ დანიელ დე როსისთან.

- დაეხმარება თუ არა იტალიის ნაკრებს ინგლისელებთან მატჩში ის, რომ მარიო ბალოტელი ინგლისში თამაშობს და იქაურ ფეხბურთელებს კარგად იცნობს?

- ჩვენთვის მთავარია, ინგლისელებზე ზეწოლა მოვახდინოთ. ვინ გააკეთებს ამას - ბალოტელი თუ რომელიმე სხვა ფეხბურთელი, მნიშვნელობა არა აქვს.

- ბალოტელის გამოხდომებს როგორ აფასებთ?

- როდესაც მის ასაკში ვიყავი, მსოფლიო ჩემპიონატზე გავემგზავრე. იმდენად ფიცხი ვიყავი, რომ ერთ-ერთ თამაშში მეტოქეს იდაყვი ჩავარტყი. იმ ინციდენტის წყალობით გავიზარდე.

- და მაინც... ოჰ, ეს ბალოტელი...

- მან საკუთარ შეცდომებზე უნდა ისწავლოს და გაიზარდოს. თავისი ასაკისთვის სრულიად ნორმალურად იქცევა. თუმცა, დროა, პასუხისმგებ-



დანიელ დე როსი

ლობაც იგრძნოს. უნდა შეეჩვიოს, რომ მას ისევე აფასებენ, როგორც მის უფროს თანაგუნდელებს. ახლა სწორედ ის დროა, როდესაც მარიო კაცად უნდა ჩამოყალიბდეს.

- ნაკრებში ის თეთრი ყვავილია?

- არა, ასე ვერ ვიტყვით. უბრალოდ, ყველა გუნდშია ერთი ისეთი ტიპი, რომელიც მუდამ რალაც შარში გაეხვევა ხოლმე.

- რატომ, რომ ამ ჩემპიონატზე იტალიის ნაკრებს არც ისე ბევრი ქომაგი ჰყავს?

- იტალიაში რთული პერიოდია. ყველას არა აქვს იმის ფინანსური საშუალება, რომ ტურნირზე ჩვენს საგულშემატკივროდ ჩამოვიდეს.

- თქვენი აზრით, მეოთხედფინალში იტალიელი ფანები კვლავ უმცირესობაში იქნებიან?

- ინგლისელები ყველა ტურნირზე მრავლად არიან.

- ეს თამაშის შედეგზე თუ იმოქმედებს?

- რა მნიშვნელობა აქვს, ვის მეტი გულშემატკივარი ეყოლება ტრიბუნებზე. მინდორზე თერთმეტი თერთმეტის წინააღმდეგ ვიქნებით.

- ირლანდიასთან მატჩში ტიფოზების მხარდაჭერას გრძნობდით?

- რა თქმა უნდა. თანაც, არა მხოლოდ იმათსას, ვინც მოახერხა და პოზნანში ჩამოვიდა, არამედ იმ 20 მილიონისაც, რომელიც იტალიიდან გვექმნება.

- რას იტყობთ სტივენ ჯერარდზე? სულ მალე მის წინააღმდეგ ითამაშებთ.

- სტივენი ჩემი კერპია. ის უმაღლეს დონეზე თამაშობს.

- ინგლისის ნაკრების სათამაშო სტილს როგორ შეაფასებთ?

- იტალიურ სტილში თამაშობენ. ბრწყინვალედ იცავენ თავს. სიმართლეს გეტყვით, მეოთხედფინალში უკრაინასთან თამაში მერჩივნა.

- უკვე შეეჩვიეთ ახალ პოზიციას. პრანდელი ხომ დაცვის ცენტრში გათამაშებთ?

- პრანდელის სჯერა ჩემი. ამის ერთ-ერთი მტიცებულება ის არის, რომ დაცვის ცენტრში დამაყენა. მომწონს, რომ ჩეზარე მოქმედების თავისუფლებას მაძლევს.

- ინგლისთან მატჩში რომელ პოზიციაზე ითამაშებთ?

- ჯერ არ ვიცი.